წელიწადი მესამე — ფასი 10 კაპ. — კვირა, 29 იანვარი, 1917 წ. № 23

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., „ჩანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)

კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ბიბლიოთეკა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

აუწყებს პატივცემულ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

აკაკი წერეთლის

სულის მოსახსენებლად, მისი გარდაცვალების დღიდან ორი წლის შესრულების გამო.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი იქნება წირვის გათავების შემდეგ. (1—549—1)

ღრმათ დაბნეულნი მეუღლე ეფროსიმე იაკობის ასული, შვილები: ბესარიონ ალექსის ძე და თამარ ალექსის ასული, რძალი ზინაიდა ალექსანდრეს ასული ჭიჭინაძისა და სიძე ლეონ ვილგელმის ძე კასოვსკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ამა იანვარს, საღამოს ექვს საათზედ, თბილისში უეცრივ გარდაიცვალა

ალექსი გესარიონის ძე

ჭიჭინაძე

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 29 იანვარს, ქართული გიმნაზიის ეკლესიაში, წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი კი 12 საათზედ. დაკრძალვა სოფელ ჭოლევში (სადგური გელათი). ცხედარს ქართულ გიმნაზიის ეკლესიიდან გაასვენებენ თბილისის სადგურზედ კვირას, 29 იანვარს, პანაშვიდის შემდეგ, ნაშუადღევის პირველის ნახევარზედ.

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ანდრია და ვარლამ იოსების ძენი ოჯახობითურთ და ელენე იოსების ასული ჭიჭინაძენი, ლუციანა იოსების ასული იაშვილისა, ელისაბედ იოსების ასული ელიავსი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ საყვარელის და ძვირფასის ბიძაშვილის

ალექსი გესარიონის ძის

ჭიჭინაძის

უეცრივ გარდაცვალებას.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში კვირას, 29 ამა იანვარს. დაკრძალვა სოფ ჭოლევში (სად. გელათი).

თბილისის ქართული გიმნაზიის საპატიო გოკიო საბჭო გულითადის მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, უეცრივ გარდაიცვალა გიმნაზიის გამგე

ალექსი გესარიონის ძე

ჭიჭინაძე

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, იანვრის 29, გიმნაზიის ტაძარში, სადაც ასვენია მიცვალებული. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზედ. ცხედარს გაასვენებენ თბილისის სადგურზე ანდერძის შემდეგ; დაკრძალვა სოფ. ჭოლევში (სადგ. გელათი).

ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტი გულითადის მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე უეცრივ გარდაიცვალა გიმნაზიის გამგე, ცნობილი პედაგოგი

ალექსი გესარიონის ძე

ჭიჭინაძე

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, იანვრის 29-ს, გიმნაზიის ტაძარში, სადაც ასვენია მიცვალებული. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზედ. ცხედარს გაასვენებენ თბილისის სადგურზე ანდერძის შემდეგ. დაკრძალვა სოფ. ჭოლევში (სადგ. გელათი).

თბილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასს აღმზრდელის და გიმნაზიის გამგის

ალ. გეს. ჭიჭინაძის

მოულოდნელ გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღეს, იანვრის 29-ს, დილის 10 საათზე, გიმნაზიის ეკლესიაში. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე. დასაფლავება ს. ჭოლევში. (1—497—1)

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქართულ საკაკო გიმნაზიის დირექტორის

ალექსი გესარიონის ძის

ჭიჭინაძის

უეცრად გარდაცვალებას.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში 29 იანვარს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (1—498—1)

თბილისის ქართულ საქალებო გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქართულ სავაჟო გიმნაზიის დირექტორის

ალექსი გესარიონის ძის

ჭიჭინაძის

უეცრად გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში 29 იანვარს. წირვა დაიწყება დილის 10 საათ. ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (1—498—1)

ელისაბედ გიორგის ასული და გიორგი ვასილის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო მეორესი ძვირფასი მამა

ვასილ გიორგის ძე

წერეთელი

მ-ცვალებულის დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 იანვარს, სოფელ მერჯიევში. (1—494—1)

ნატალია გრიგოლის ასული, ეკატერინე ივანეს ასული, სიმონი ივანეს ძე გძელიშვილები, ოლღა გიორგის ასული გძელიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 იანვარს გარდაიცვალა სოფ. თიონეთში პირველის მაზლი და დანარჩენების ძვირფასი ბიძა

დეკანოზი ზაქარია

გძელიშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფ. თიონეთში 29 იანვარს, ხოლო წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება თბილისში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში, დილის 10 საათზედ. (1—499—1)

გულდაწყვეტილნი: ძმები კლიმენტი, ერმოკრატი, როლანდი, დაი იპატია, რძალი მარუსია თალაკვაძენი, ბიბია ასილო და ბიძა კალენიკე გოგიბერიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ—მეგობრებს ძვირფასის

აკაკი იესეს ძის

თალაკვაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოთხოვების დღე დანიშნულია ქ. თბილისში სამშაბათს 31 იანვარს. პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას და ორშაბათს საღამოს 6 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გასვენება 31 იანვარს ქაშვეთის ეკლესიიდან, დილის 12 საათზე, ხოლო დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—500—1)

დილის წარმოდგენა

ახალ კლუბის შენობაში

წარმოდგენა

ი. ზარდალიშვილისა.

კვირას, 29 იანვარს 3. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

კაიუს-გრაკხუს

ტრაგ. 5 მოქ. მონტისა.

კაიუსის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია ✦ დასაწყისი დილის 12 ს.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი ***

(5—532—5)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

კვირას, 29 იანვარს,

სინემატოგრაფი, სიმეგიანი ორკესტრი

ორშაბათს, 30 იანვარს,

სინემატოგრაფი, სიმეგიანი ორკესტრი

ხტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

(1—550—1)

მეევნახეთა საყურადღებოთ

სადგურ სადახლოზე (ყარსის რკ. გზა)

მარიამ მიხეილის ასულ ღოლობერიძის მამულში

იყიდება

ამერიკულ მწარე ვაზზე (რუპესტრო დულოზე) ნამყენი: რქა-წითელი, თეთრი შოსლა და ალექსანდრიის მუსკატი. თითო ძირის ფასი ორი შაური.

მისამართი: სადგური **სადახლო** (ყარსის რკ. გზ.) მარიამ მიხ. ღოლობერიძისას, ხოლო **თბილისში:** საუფლისწულო (უდელის) ქ. № 7, საკუთარი სახლი.

(2—496—1)

ექიმი

ფოლ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოხკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა **და** მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

ექიმმა

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩა-კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროფეზორის ახვლედიანისა

დოქტორი ფედეცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

გაცრუებული იმედები

რუსეთში ბევრი იყო დარწმუნებული, რომ საშინელი განსაცდელი, რომელიც მოევლინა რუსეთს ამ ომის სახით, საფუძვლიანად გარდაქმნიდა მის პოლიტიკურსა, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას. თითქოს რუსეთშიაც ჰქონდა ადგილი ძალთა გაერთიანებასა და ხალხის პატრიოტულ გრძობათა გაცხოველებას, გაძლიერებას. რა საკვირველია, რუსეთი მაინც რუსეთად დარჩა და ის პოლიტიკური ცვლილებები, რომელნიც ევროპის სახელმწიფოებში გამოიწვია ომმა, რუსეთისთვის დღეგდის საოცნებო საგნად რჩება. საზოგადოებრივი სამინისტრო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალთა შორის თანხმობა და მათი შეთანხმებული მუშაობა ევროპის სახელმწიფოებში რომ ომის დასაწყისშივე დამყარდა, რუსეთისთვის ჯერ კიდევ უცნობი ხილია.

ულმობელმა სინამდვილემ დიდათ დააცხრო რუსეთის საზოგადოების აღფრთოვანება და სახელმწიფოს პოლიტიკური განახლების იმედებიც. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ხელისუფალთ. მთავრობამ ძლიერ ნაკლებად გაუწია ანგარიში მომენტის საჭიროებებს და პოლიტიკური დაპირებები უკანვე წაიღო. სულ უმნიშვნელო რეფორმებსაც გაურბის ის და ლაჟინებით მიჰყვება მმართველობის ძველსა და გატკეპნილ გზას. თავისუფლება სიტყვისა, პრესისა, კრებებისა, რაც მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოქალაქეობრივის ცხოვრების დასამყარებლად, არამც თუ გაფართოებული არ იქმნა, არამედ კიდეც შეიზღუდა. ასეთს პირობებში ძნელია საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება და ამოქმედება. უამისოდ კი ვერავითარი ძალა ვერ იხსნის სახელმწიფოს მოვლენილ განსაცდელისაგან.

ამ უკანასკნელ დროს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეორე ხანა დაიწყო, ხანა ძალთა დაქსაქსვისა და გათიშვისა. მთავრობა და მის გარშემო შემოკრებილი ძალები, ერთის მხრით, და ლიბერალური რუსეთი, პროგრესიული ბლოკის მეთაურობით, მეორეს მხრით, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ერთმანეთს მკაცრად დაშორდნენ და ეს განხეთქილება დღითი დღე იზრდება. ამ მოკლე ხანში მომხდარმა აქტმა ეს ძალთა დაშორება, არა თუ არ შეასუსტა, როგორც ბევრი ჰფიქრობდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავა. ასეთს პირობებში სრულიად გაუქმებულია რუსეთის საკანონმდებლო შემოქმედება. სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მუშაობას საშუალებას არ აძლევენ და მთავრობის გულისყური უმთავრესად იმაზეა მიქცეული, რომ როგორმე ალაგმოს და შებორკოს საზოგადოებრივ ძალთა პროგრესიული მისწრაფებანი.

ამ გზით მთავრობა მეტად შორს მიდის. კრებებისა და სიტყვის თავისუფლების გაფართოების ნაცვლად ის შესამჩნევად ზღუდავს მას. არამცთ თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამეთ თვით ის დაწესებულებანიც, რომელნიც ომის საჭიროებებისთვის მუშაობენ, სავსებით განიცდიან დღევანდელი პოლიტიკის სიმკაცრე; ქალაქთა კავშირებისა, საერობო ორგანიზაციებისა და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების კრებებიც კი აღკრძალეს. ამ ჟამად დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის აღკრძალვა, რომელიც მოსკოვში უნდა მომხდარიყო. ომის საესურველად დაბოლოვება და რუსეთის მომავალ ეკონომიურ ძლიერების შექმნა, უმთავრესად, ამ ვაჭარ-მრეწველთა წრეს უნდა დაჰკისრებოდა. მთავრობასა და ყველა საზოგადოებრივ ძალებს ხელი უნდა შეეწყო ამ კლასისთვის და მის მუშაობისათვის შესაფერისი პოლიტიკური პირობები შეექმნათ.

მხოლოდ ამ გზით შეეძლებოდა რუსეთს თვის დღევანდელს საშინელ ეკონომიურ დაქვეითებისათვის თავი დაეხწია. ამავე დროს მთავრობა ამ ძალას სრულებით ანგარიშს არ უწევს და მის საველმწიფოს აღმაღორძინებელ მუშაობას ხელს უშლის. აღკრძალულ ყრილობის ნაცვლად მოსკოვში, რიაბუშინსკის ბინაზე რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა კერძო თათბირი შემდგარა. რიაბუშინსკის შეკრებილთათვის, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: „მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენი ყრილობა აღკრძალეს. მუქარაც-კი შემოგვითვალეს კერძო თათბირების გამართვისათვის. უთუოდ დაგვიდგა აუტანელი მდგომარეობა, როდესაც ცხოვრების შეჩერებას სცდილობენ და არ სურთ სიმართლე გაიგონონ. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ეროგამ, ქალაქებმა და თავად-აზნაურობამ უკვე სთქვეს თავიანთი სათქმელი და ეხლა ჯერი ჩვენზე მიდგა. ვაჭარ-მრეწველთა კლასი ჰქმნის და ამოძრავებს ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებას. მას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ხელშია, ბოძებული და ნაჩუქარი კი არ არის, არამედ შექმნილია ჩვენთა წინაპართა შრომით. სახელმწიფო ჩვენგან დიდს გადასახადებს ითხოვს. სამაგიეროთ ჩვენც უნდა წარვუდგინოთ სამართლიანი მოთხოვნილებანი სახელმწიფოს, რომელსაც უგანაჩენო ნმართველობით ჩვენი და სახელმწიფოს სიმდიდრის განიავების უფლება არ უნდა ჰქონდეს“.

ასეთს წყრომას იწვევს მთავრობის ახლანდელი კურსი ვაჭარ-მრეწველთა წრეებში და ვინ იფიქრებდა, თუ ომის პირველ ხანებში დაპირებულ ძალთა გაერთიანებას და შეთანხმებას ასეთი ბოლო ექნებოდა.

ე. მალი.

ურყევი ძალა

საშინელი რამ იყო პარტიობის ავადმყოფური სული, ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენში რომ შემოვიდა. ქვეყნის წამრღვნელ უბედურობად გვევლინებოდა დასური შეურიგებლობის პსიხოლოგია, ქართველობას რომ ერთი მეორის სამტროდ რაზმავდა. წრეს იყო გადასული სამშობლოს იდეის გმობა, უცხოელების შემოსევამ ქვების მასასაც დაამჩნია თავისი ბეჭედი. ჩვენი დედა-ქალაქი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად იქცა, სადაც ხუროთმოძღვარნი და კალატოზნი სხვა და სხვა ენას ლაპარაკობენ. მართალია, აქა-იქ კიდევ ქართული ტაძარი სდგას და აქა-იქ წახნაგოვანი გუმბათი ამაყად აპობს ცის ტატნობს, მაგრამ ორიოდე გუმბათიან ტაძარს დღეს აღარ ძალუძს დიდს სამრეწველო და სააღებმიცემო ცენტრს განსაზღვრული არქიტექტურული ელფერი მისცეს. დღეს ადამიანთ მეტი კომფორტი და ყურადღება ესაჭიროებათ, ვიდრე ღვერთებს. და სავალალო ის არის, რომ ჩვენ აღარ გაგვაჩნია ლაზათიანი ბინები უბრალო მომაკვდავთათვის.

წინათ ასე როდი ყოფილა. ჩვენ გვქონია არა მარტო დამთავრებული ეკლესიები, არამედ დამთავრებული საერო ხასიათის შენობებიც. ჩვენი მემატიანენი და უცხოელი მოგზაურნი იმასაც მოწმობენ, რომ ჩვენს ძველებს კიდეც სცოდნიათ განსხვავება საზაფხულო და საზამთრო ბინებს შორის. თუ ასეთი ბინების ნაშთი ნაკლებ შეგვრჩა, ვიდრე ეკლესიებისა, ეს იმით აიხსნება, რომ საერო ხასიათის შენობები ნაკლებ დაცული იყო მტრის თავდასხმისაგან. თავისთავად ცხადია, რომ ახოვანი და ლაზათიანი სასახლეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებში იყო თავმოყრილი. შემოჭრილი მტრის ტალღა კი უწინარეს ყოვლისა ასეთ ცენტრებისკენ მომდინარეობდა. შემდეგ წალეკილ ადგილზე ქვის გროვა და სილაღა რჩებოდა. ასეთი იყო აღმაჰმადხანის შემოსევა და ასეთი უნდა ყოფილიყო წინანდელი დამპყრობელების შემოსევანიც. როგორც ერთ უცხოელ მოგზაურის მიერ დატოვებული ნახატიდან სჩანს, ჩვენს დედა-ქალაქს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ბევრად უფრო გამოკვეთილი და მთლიანი ხასიათი ჰქონია, ვიდრე დღესა აქვს. საფიქრებელია, რომ თბილისის საერო არქიტექტურა კიდევ უფრო დიადი და მშვენიერი იქნებოდა ძლიერებისა და აყვავების ეპოქაში.

თუ დღეს ამ ქართულ საერო არქიტექტურას ვეღარ ვხედავთ, გონების თვალით კიდევ შეგვიძლია მისი სილუეტები წარმოვ დგინოთ. მთლიანი შენობა აღარ დარჩენილა, მაგრამ ალაგ-ალაგ საძირკველის ნიშნები მოიპოვება, ალაგ-ალაგ სვეტის ფუძე ან თაღის რკალი. მაძიებელს სულს და ცხოველს ტემპერამენტს კიდევ შეუძლია ამ გაფანტულ ელემენტების აღმოჩენა და შედუღება. ამას გარდა ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრება ისე გათიშული არ იყო, როგორც დღეს არის: რომანიული და გოტიური სტილის ციხე და სასახლე რომანიულ და გოტიური სტილის მონასტერსა და კათედრალს წააგავდა. განსხვავება იმაში იყო, რომ პირველი უფრო პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებას იყო შეფარდებული, უკანასკნელი კი უფრო იდეალურ მოსაზრებებს. ალბად ასე იქნებოდა საქართველოშიც. ამას, სხვათა შორის, ეგრედ წოდებული საოსტიგნეც მოწმობს, რომელიც კრებისა და საერთო ტრაპეზისთვის იყო დანიშნული და უფრო საერო ხასიათის შენობას წარმოადგენდა, ვიდრე საეკლესიოსას. ერთი ასეთი საოსტიგნე საკმაოდ ხელუხლებლად არის შენახული თორის წყლის ხეობაში, სოფელ ტიმოთეს უბანში (ბორჯომის მხარეს).

შეიძლება ეს ერთის მხრით ბედნიერებაც იყოს, რომ ბევრი რამ დაიღუპა ძველი ქართული შემოქმედებიდან. ყველაზე მძიმე ტვირთი მიცვალებულია და ძნელია წინსვლა, როცა ფეხებში სასაფლაოს ლოდები გედება. მაგრამ თუნდ ეს ნუგეში ფუჭი იყოს, მაინც უეჭველია, რომ დღევანდელმა თაობამ უფრო მომავლისთვის უნდა იზრუნოს, ვიდრე წარსულისთვის. რაც უნდა იყოს, დღეს აღარ შეგვიძლია მარტო ძველ საარქიტექტურო ნაშთებს აღდგენით და ასლის გად ღებით დავკმაყოფილდეთ. ასლი ყოველთვის უფრო ცივი და უძლურია, ვიდრე დედანი. დატოვებული ნაშთები თავისუფალი და დამოუკ დებელი შემოქმედებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ფრესკების გამოფენაში, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო ხელოვანთა საზოგადოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვება ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც. ყველაზე საყურადღებო ბანას ტაძრის რეკონსტურქციაა, ინჟენერ კალგინის მიერ წარმოდგენილი. ეს ის დიდებული რგვალი ტაძარია, რომლის შესახებ გერმანელმა ბუნებისმეტყველმა კოხმა სთქვა, კონსტანტინოპოლის შემდეგ აღმოსავლეთში არაფერი მინახავს მისებრ გამოჩინებულიო. ამ შენობის ზომა და ხასიათი ისეთია, რომ ის უფრო ბრწყინვალე პროცესიებსა და დღესასაწაულებს შეეფერება, ვიდრე წყნარს სამონასტრო მოღვაწეობას. და, მართლაც, ცნობილია, რომ იქ ერთმა უძლიერესმა ქართველმა მეფემ დაიწერა ჯვარი დიდის ზარითა და ზეიმით. ასეთი შენობა დაუშრეტელ წყაროს შეიცავს საერო ხუროთმოძღვრებს აღსადგენად. მკრეხელობა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი ძირითადი გეგმა, სანიშნი, ბალკონი, სვეტები და თაღები ადვილად შეიძლება ქართულ თეატრის ან სხვა რაიმე მონუმენტალური შენობისთვის გამოიყენოს თანამედროვე ხუროთმძღვარმა. იგივე შეიძლება ითქვას ბოლნისის სიონისა ან წალენჯიხას ეკლესიის შესახებ, რომლის სურათები იმავე გამოფენაშია წარმოდგენილი.

ქართული საარქიტექტურო სტილის ელემენტები ძველ წიგნებშიც კი მოიპოვება. მხატვრული კამარები, რომელნიც ზოგიერთ ძველ სახარებასა და ფსალმუნს ამკობენ, საოცრად წააგვანან შენობის ფასადსა და შენობის ბეჭეს. ამ კამარების მიხედვით ხუროთმოძღვარის ფანტაზიას მთელი სახლის შექმნა შეუძლია.

დღეს დასავლეთ ევროპაში ყველგან დიდი მოძრაობა დაიწყო თანამედროვე არქიტექტურის შესაქმნელად. ახალი შენობა ლაზათიანიც უნდა იყოს, კომფორტის მოთხოვნილებასაც უნდა აკმაყოფილებდეს და ადგილობრივ პირობებსაც უნდა უწევდეს ანგარიშს. ამ მოძრაობას ჩვენამდე ჯერ კიდევ არ მოუღწევია. არც ჩვენი საზოგადო შენობები და არც კერძო სახლები არაფერს ეუბნებიან ადამიანის თვალს და პრაქტიკულადაც გამოუსადეგნი არიან. ჩვენ გვაქვს გრძნობიები, რომელნიც, ცოტა არ იყოს, ყაზარმებს წააგვანან და კლუბები, სადაც ადამიანები უჰაეროდ ირჩობიან. ახლა, როცა ჩვენი თეატრის შენობა დამწვარია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის საკმაოდ მახინჯი იყო. ერთად ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც მშვენიერებას ძიებას მოწმობს, ქართული საადგილ-მამულო ბანკის ახალი შენობაა. მაგრამ ისიც ისეთ მივარდნილ ადგილასაა მიკუნჭული, რომ სრულიადაც ვერ სცვლის ქალაქს საერთო ხასიათს.

თბილისის ზედაპირი საუცხოოა თავისი ნაპრალებითა, ბორცვებითა და მაღლობებით. ქვეყანაზე ბევრი არაა ისეთი ქალაქი, რომელსაც ისეთი თავისებური შეხედულობა ჰქონდეს, როგორიც ჩვენს დედაქალაქს ნარიყალას ციხიდან, მამადავითიდან, ან მუხრანის ხიდიდან აქვს. მაგრამ მცხოვრებლებს თითქო ყველაფერი მოუმოქმედნიათ, რომ ეს ბუნება დაემახინჯებიათ. თბილისს არ შეეფერება არც ერთფეროვანი, სახაზინო სტილის ყაზარმა, არც მძიმე ევროპიული სასახლე, არც ზიზილპიპილებიანი აღმოსავლეთური დარბაზი. მისი არქიტექტურა—უბრალო და ენერგიული უნდა იყოს, როგორც ძველი ქართული შენობა.

გერონტი ქიქოძე.

ქართული შენობა

არსებობს თუ არა დღეს ქართული შენობა? ვგულისხმობ ისეთ შენობას, რომელიც ქართულ ეროვნულ ხასიათსა ჰხატავს და არა მარტო ისეთს, რომელშიაც ქართველები სცხოვრობენ.

საკმაოა კაცმა თბილისის ან რომელმე პროვინციული ქალაქის ქუჩაში გაიაროს, რომ ამ კითხვას უარყოფითათ უპასუხოს. თანამედროვე ქართველები ან მრავალ-სართულიან ყაზარმებში სცხოვრობენ ან მოუწყობელ ქოხმახებში, რომელთაც აღარ შერჩენიათ ქართული ელფერი. ხუროთ მოძღვრება ხომ ეპოქის გამოხატულებაა! ჩვენ დღეს რუსულ-ქართულ ჟარგონს ვლაპარაკობთ და ჩოხა-ახალუხებზე კოკარდიან ქუდს ვიხურავთ. რა გასაკვირალია, რომ ჩვენი შენობა ისევე უხასიათო იყოს, როგორიცაა ჩვენი ენა, ჩვენი ტანსაცმელი და ჩვენი მიხვრა-მოხვრა?

მგოსანმა სთქვა, ყოველ ქალაქს თავისი სული აქვსო. ამ სულს უეჭველად უწინარეს ყოვლისა შენობების სტილი ჰქმნის. ხუროთმოძღვრება ყველაზე უფრო ხელშესახები ხელოვნებაა და ყველაზე აშკარად მოწმობს როგორც ბინადართა, ისე ოსტატთა ბუნებას. აქ ნათლად სჩანს ეროვნულ ხასიათის მთლიანობა ან გაორება, ფანტაზიის სიმდიდრე ან სიღატაკე, გემოვნების სიფხიზლე ან მოჭარბება.

შეიძლება თავისი განსაკუთრებული სული თბილისსაც ჰქონდეს, მაგრამ ის აღარ არის ქართული. მრავალტომიან უცხოელების შემოსევამ ქვების მასასაც დაამჩნია თავისი ბეჭედი. ჩვენი დედა-ქალაქი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად იქცა, სადაც ხუროთმოძღვარნი და კალატოზნი სხვა და სხვა ენას ლაპარაკობენ. მართალია, აქა-იქ კიდევ ქართული ტაძარი სდგას და აქა-იქ წახნაგოვანი გუმბათი ამაყად აპობს ცის ტატნობს, მაგრამ ორიოდე გუმბათიან ტაძარს დღეს აღარ ძალუძს დიდს სამრეწველო და სააღებმიცემო ცენტრს განსაზღვრული არქიტექტურული ელფერი მისცეს. დღეს ადამიანთ მეტი კომფორტი და ყურადღება ესაჭიროებათ, ვიდრე ღვერთებს. და სავალალო ის არის, რომ ჩვენ აღარ გაგვაჩნია ლაზათიანი ბინები უბრალო მომაკვდავთათვის.

წინათ ასე როდი ყოფილა. ჩვენ გვქონია არა მარტო დამთავრებული ეკლესიები, არამედ დამთავრებული საერო ხასიათის შენობებიც. ჩვენი მემატიანენი და უცხოელი მოგზაურნი იმასაც მოწმობენ, რომ ჩვენს ძველებს კიდეც სცოდნიათ განსხვავება საზაფხულო და საზამთრო ბინებს შორის. თუ ასეთი ბინების ნაშთი ნაკლებ შეგვრჩა, ვიდრე ეკლესიებისა, ეს იმით აიხსნება, რომ საერო ხასიათის შენობები ნაკლებ დაცული იყო მტრის თავდასხმისაგან. თავისთავად ცხადია, რომ ახოვანი და ლაზათიანი სასახლეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებში იყო თავმოყრილი. შემოჭრილი მტრის ტალღა კი უწინარეს ყოვლისა ასეთ ცენტრებისკენ მომდინარეობდა. შემდეგ წალეკილ ადგილზე ქვის გროვა და სილაღა რჩებოდა. ასეთი იყო აღმაჰმადხანის შემოსევა და ასეთი უნდა ყოფილიყო წინანდელი დამპყრობელების შემოსევანიც. როგორც ერთ უცხოელ მოგზაურის მიერ დატოვებული ნახატიდან სჩანს, ჩვენს დედა-ქალაქს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ბევრად უფრო გამოკვეთილი და მთლიანი ხასიათი ჰქონია, ვიდრე დღესა აქვს. საფიქრებელია, რომ თბილისის საერო არქიტექტურა კიდევ უფრო დიადი და მშვენიერი იქნებოდა ძლიერებისა და აყვავების ეპოქაში.

თუ დღეს ამ ქართულ საერო არქიტექტურას ვეღარ ვხედავთ, გონების თვალით კიდევ შეგვიძლია მისი სილუეტები წარმოვ დგინოთ. მთლიანი შენობა აღარ დარჩენილა, მაგრამ ალაგ-ალაგ საძირკველის ნიშნები მოიპოვება, ალაგ-ალაგ სვეტის ფუძე ან თაღის რკალი. მაძიებელს სულს და ცხოველს ტემპერამენტს კიდევ შეუძლია ამ გაფანტულ ელემენტების აღმოჩენა და შედუღება. ამას გარდა ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრება ისე გათიშული არ იყო, როგორც დღეს არის: რომანიული და გოტიური სტილის ციხე და სასახლე რომანიულ და გოტიური სტილის მონასტერსა და კათედრალს წააგავდა. განსხვავება იმაში იყო, რომ პირველი უფრო პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებას იყო შეფარდებული, უკანასკნელი კი უფრო იდეალურ მოსაზრებებს. ალბად ასე იქნებოდა საქართველოშიც. ამას, სხვათა შორის, ეგრედ წოდებული საოსტიგნეც მოწმობს, რომელიც კრებისა და საერთო ტრაპეზისთვის იყო დანიშნული და უფრო საერო ხასიათის შენობას წარმოადგენდა, ვიდრე საეკლესიოსას. ერთი ასეთი საოსტიგნე საკმაოდ ხელუხლებლად არის შენახული თორის წყლის ხეობაში, სოფელ ტიმოთეს უბანში (ბორჯომის მხარეს).

შეიძლება ეს ერთის მხრით ბედნიერებაც იყოს, რომ ბევრი რამ დაიღუპა ძველი ქართული შემოქმედებიდან. ყველაზე მძიმე ტვირთი მიცვალებულია და ძნელია წინსვლა, როცა ფეხებში სასაფლაოს ლოდები გედება. მაგრამ თუნდ ეს ნუგეში ფუჭი იყოს, მაინც უეჭველია, რომ დღევანდელმა თაობამ უფრო მომავლისთვის უნდა იზრუნოს, ვიდრე წარსულისთვის. რაც უნდა იყოს, დღეს აღარ შეგვიძლია მარტო ძველ საარქიტექტურო ნაშთებს აღდგენით და ასლის გად ღებით დავკმაყოფილდეთ. ასლი ყოველთვის უფრო ცივი და უძლურია, ვიდრე დედანი. დატოვებული ნაშთები თავისუფალი და დამოუკ დებელი შემოქმედებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ფრესკების გამოფენაში, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო ხელოვანთა საზოგადოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვება ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც. ყველაზე საყურადღებო ბანას ტაძრის რეკონსტურქციაა, ინჟენერ კალგინის მიერ წარმოდგენილი. ეს ის დიდებული რგვალი ტაძარია, რომლის შესახებ გერმანელმა ბუნებისმეტყველმა კოხმა სთქვა, კონსტანტინოპოლის შემდეგ აღმოსავლეთში არაფერი მინახავს მისებრ გამოჩინებულიო. ამ შენობის ზომა და ხასიათი ისეთია, რომ ის უფრო ბრწყინვალე პროცესიებსა და დღესასაწაულებს შეეფერება, ვიდრე წყნარს სამონასტრო მოღვაწეობას. და, მართლაც, ცნობილია, რომ იქ ერთმა უძლიერესმა ქართველმა მეფემ დაიწერა ჯვარი დიდის ზარითა და ზეიმით. ასეთი შენობა დაუშრეტელ წყაროს შეიცავს საერო ხუროთმოძღვრებს აღსადგენად. მკრეხელობა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი ძირითადი გეგმა, სანიშნი, ბალკონი, სვეტები და თაღები ადვილად შეიძლება ქართულ თეატრის ან სხვა რაიმე მონუმენტალური შენობისთვის გამოიყენოს თანამედროვე ხუროთმძღვარმა. იგივე შეიძლება ითქვას ბოლნისის სიონისა ან წალენჯიხის ეკლესიის შესახებ, რომლის სურათები იმავე გამოფენაშია წარმოდგენილი.

ქართული საარქიტექტურო სტილის ელემენტები ძველ წიგნებშიც კი მოიპოვება. მხატვრული კამარები, რომელნიც ზოგიერთ ძველ სახარებასა და ფსალმუნს ამკობენ, საოცრად წააგვანან შენობის ფასადსა და შენობის ბეჭეს. ამ კამარების მიხედვით ხუროთმოძღვარის ფანტაზიას მთელი სახლის შექმნა შეუძლია.

დღეს დასავლეთ ევროპაში ყველგან დიდი მოძრაობა დაიწყო თანამედროვე არქიტექტურის შესაქმნელად. ახალი შენობა ლაზათიანიც უნდა იყოს, კომფორტის მოთხოვნილებასაც უნდა აკმაყოფილებდეს და ადგილობრივ პირობებსაც უნდა უწევდეს ანგარიშს. ამ მოძრაობას ჩვენამდე ჯერ კიდევ არ მოუღწევია. არც ჩვენი საზოგადო შენობები და არც კერძო სახლები არაფერს ეუბნებიან ადამიანის თვალს და პრაქტიკულადაც გამოუსადეგნი არიან. ჩვენ გვაქვს გრძნობიები, რომელნიც, ცოტა არ იყოს, ყაზარმებს წააგვანან და კლუბები, სადაც ადამიანები უჰაეროდ ირჩობიან. ახლა, როცა ჩვენი თეატრის შენობა დამწვარია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის საკმაოდ მახინჯი იყო. ერთად ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც მშვენიერებას ძიებას მოწმობს, ქართული საადგილ-მამულო ბანკის ახალი შენობაა. მაგრამ ისიც ისეთ მივარდნილ ადგილასაა მიკუნჭული, რომ სრულიადაც ვერ სცვლის ქალაქს საერთო ხასიათს.

თბილისის ზედაპირი საუცხოოა თავისი ნაპრალებითა, ბორცვებითა და მაღლობებით. ქვეყანაზე ბევრი არაა ისეთი ქალაქი, რომელსაც ისეთი თავისებური შეხედულობა ჰქონდეს, როგორიც ჩვენს დედაქალაქს ნარიყალას ციხიდან, მამადავითიდან, ან მუხრანის ხიდიდან აქვს. მაგრამ მცხოვრებლებს თითქო ყველაფერი მოუმოქმედნიათ, რომ ეს ბუნება დაემახინჯებიათ. თბილისს არ შეეფერება არც ერთფეროვანი, სახაზინო სტილის ყაზარმა, არც მძიმე ევროპიული სასახლე, არც ზიზილპიპილებიანი აღმოსავლეთური დარბაზი. მისი არქიტექტურა—უბრალო და ენერგიული უნდა იყოს, როგორც ძველი ქართული შენობა.

გერონტი ქიქოძე.

გაცრუებული იმედები

რუსეთში ბევრი იყო დარწმუნებული, რომ საშინელი განსაცდელი, რომელიც მოევლინა რუსეთს ამ ომის სახით, საფუძვლიანად გარდაქმნიდა მის პოლიტიკურსა, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას. თითქოს რუსეთშიაც ჰქონდა ადგილი ძალთა გაერთიანებასა და ხალხის პატრიოტულ გრძობათა გაცხოველებას, გაძლიერებას. რა საკვირველია, რუსეთი მაინც რუსეთად დარჩა და ის პოლიტიკური ცვლილებები, რომელნიც ევროპის სახელმწიფოებში გამოიწვია ომმა, რუსეთისთვის დღეგდის საოცნებო საგნად რჩება. საზოგადოებრივი სამინისტრო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალთა შორის თანხმობა და მათი შეთანხმებული მუშაობა ევროპის სახელმწიფოებში რომ ომის დასაწყისშივე დამყარდა, რუსეთისთვის ჯერ კიდევ უცნობი ხილია.

ულმობელმა სინამდვილემ დიდათ დააცხრო რუსეთის საზოგადოების აღფრთოვანება და სახელმწიფოს პოლიტიკური განახლების იმედებიც. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ხელისუფალთ. მთავრობამ ძლიერ ნაკლებად გაუწია ანგარიში მომენტის საჭიროებებს და პოლიტიკური დაპირებები უკანვე წაიღო. სულ უმნიშვნელო რეფორმებსაც გაურბის ის და ლაჟინებით მიჰყვება მმართველობის ძველსა და გატკეპნილ გზას. თავისუფლება სიტყვისა, პრესისა, კრებებისა, რაც მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოქალაქეობრივის ცხოვრების დასამყარებლად, არამც თუ გაფართოებული არ იქმნა, არამედ კიდეც შეიზღუდა. ასეთს პირობებში ძნელია საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება და ამოქმედება. უამისოდ კი ვერავითარი ძალა ვერ იხსნის სახელმწიფოს მოვლენილ განსაცდელისაგან.

ამ უკანასკნელ დროს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეორე ხანა დაიწყო, ხანა ძალთა დაქსაქსვისა და გათიშვისა. მთავრობა და მის გარშემო შემოკრებილი ძალები, ერთის მხრით, და ლიბერალური რუსეთი, პროგრესიული ბლოკის მეთაურობით, მეორეს მხრით, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ერთმანეთს მკაცრად დაშორდნენ და ეს განხეთქილება დღითი დღე იზრდება. ამ მოკლე ხანში მომხდარმა აქტმა ეს ძალთა დაშორება, არა თუ არ შეასუსტა, როგორც ბევრი ჰფიქრობდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავა. ასეთს პირობებში სრულიად გაუქმებულია რუსეთის საკანონმდებლო შემოქმედება. სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მუშაობას საშუალებას არ აძლევენ და მთავრობის გულისყური უმთავრესად იმაზეა მიქცეული, რომ როგორმე ალაგმოს და შებორკოს საზოგადოებრივ ძალთა პროგრესიული მისწრაფებანი.

ამ გზით მთავრობა მეტად შორს მიდის. კრებებისა და სიტყვის თავისუფლების გაფართოების ნაცვლად ის შესამჩნევად ზღუდავს მას. არამცთ თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამეთ თვით ის დაწესებულებანიც, რომელნიც ომის საჭიროებისთვის მუშაობენ, სავსებით განიცდიან დღევანდელი პოლიტიკის სიმკაცრე; ქალაქთა კავშირებისა, საერობო ორგანიზაციებისა და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების კრებებიც კი აღკრძალეს. ამ ჟამად დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის აღკრძალვა, რომელიც მოსკოვში უნდა მომხდარიყო. ომის საესურველად დაბოლოვება და რუსეთის მომავალ ეკონომიურ ძლიერების შექმნა, უმთავრესად, ამ ვაჭარ-მრეწველთა წრეს უნდა დაჰკისრებოდა. მთავრობასა და ყველა საზოგადოებრივ ძალებს ხელი უნდა შეეწყო ამ კლასისთვის და მის მუშაობისათვის შესაფერისი პოლიტიკური პირობები შეექმნათ.

მხოლოდ ამ გზით შეეძლებოდა რუსეთს თვის დღევანდელს საშინელ ეკონომიურ დაქვეითებისათვის თავი დაეხწია. ამავე დროს მთავრობა ამ ძალას სრულებით ანგარიშს არ უწევს და მის საველმწიფოს აღმაღორძინებელ მუშაობას ხელს უშლის. აღკრძალულ ყრილობის ნაცვლად მოსკოვში, რიაბუშინსკის ბინაზე რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა კერძო თათბირი შემდგარა. რიაბუშინსკის შეკრებილთათვის, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: „მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენი ყრილობა აღკრძალეს. მუქარაც-კი შემოგვითვალეს კერძო თათბირების გამართვისათვის. უთუოდ დაგვიდგა აუტანელი მდგომარეობა, როდესაც ცხოვრების შეჩერებას სცდილობენ და არ სურთ სიმართლე გაიგონონ. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ეროგამ, ქალაქებმა და თავად-აზნაურობამ უკვე სთქვეს თავიანთი სათქმელი და ეხლა ჯერი ჩვენზე მიდგა. ვაჭარ-მრეწველთა კლასი ჰქმნის და ამოძრავებს ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებას. მას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ხელშია, ბოძებული და ნაჩუქარი კი არ არის, არამედ შექმნილია ჩვენთა წინაპართა შრომით. სახელმწიფო ჩვენგან დიდს გადასახადებს ითხოვს. სამაგიეროთ ჩვენც უნდა წარვუდგინოთ სამართლიანი მოთხოვნილებანი სახელმწიფოს, რომელსაც უგანაჩენო ნმართველობით ჩვენი და სახელმწიფოს სიმდიდრის განიავების უფლება არ უნდა ჰქონდეს“.

ასეთს წყრომას იწვევს მთავრობის ახლანდელი კურსი ვაჭარ-მრეწველთა წრეებში და ვინ იფიქრებდა, თუ ომის პირველ ხანებში დაპირებულ ძალთა გაერთიანებას და შეთანხმებას ასეთი ბოლო ექნებოდა.

ე. მალი.

ურყევი ძალა

საშინელი რამ იყო პარტიობის ავადმყოფური სული, ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენში რომ შემოვიდა. ქვეყნის წამრღვნელ უბედურობად გვევლინებოდა დასური შეურიგებლობის პსიხოლოგია, ქართველობას რომ ერთი მეორის სამტროდ რაზმავდა. წრეს იყო გადასული სამშობლოს იდეის გმობა, უცხოელების შემოსევამ ქვების მასასაც დაამჩნია თავისი ბეჭედი. ჩვენი დედა-ქალაქი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად იქცა, სადაც ხუროთმოძღვარნი და კალატოზნი სხვა და სხვა ენას ლაპარაკობენ. მართალია, აქა-იქ კიდევ ქართული ტაძარი სდგას და აქა-იქ წახნაგოვანი გუმბათი ამაყად აპობს ცის ტატნობს, მაგრამ ორიოდე გუმბათიან ტაძარს დღეს აღარ ძალუძს დიდს სამრეწველო და სააღებმიცემო ცენტრს განსაზღვრული არქიტექტურული ელფერი მისცეს. დღეს ადამიანთ მეტი კომფორტი და ყურადღება ესაჭიროებათ, ვიდრე ღვერთებს. და სავალალო ის არის, რომ ჩვენ აღარ გაგვაჩნია ლაზათიანი ბინები უბრალო მომაკვდავთათვის.

წინათ ასე როდი ყოფ

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

სატახტო გაზეთების ზოგიერთა სამხედრო მიმომხილველნი გერმანეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას აბუჩად იგდებენ. უკანასკნელთა აზრით, ეს აქტი—უბრალო ქაღალდზე დაწერილი ბლოკადაა. მისი განხორციელება სრულებითაც არ ძალუძთ გერმანელთ და, მაშასადამე, თვით ამ ნაბიჯს უნდა შევხედოთ, როგორც სულთამობრძავ ადამიანის უკანასკნელ ფრთიალსაო. ჩვენ არა ერთხელ დაგვიგმია ზოგიერთ იაფფასიან სამხედრო მიმომხილველთა უაზრო მოსაზრებანი. ვაჟკაცის საქმე არაა მტრის გამასხარავება; მით უმეტეს, თუ თვით მტერი ნამდვილად მართლაც ძლიერია, შეუპოვარი და მომქმედი. რა საკადრისია ამ გვარ საშუალებით ბრძოლა! ვის ავნებენ, თუ არა თავიანთ თავსვე! განა შეძლება გერმანეთის ბლოკადას ქაღალდის ბლოკადა უწოდოს კაცმა, მაშინ, როდესაც ყოველდღე 10—15 გემსა ღუპავს! ან და განა ნეიტრალური სახელმწიფოები და თვით ამერიკაც ასე მკვირცხლათ გამოეხმაურებოდა გერმანელების ახალ აქტს, იგინიც რომ ასე ზერელად უყურებდნენ ბლოკადას? ან რა საჭიროა, ვინ მოიგებს იმით, რომ ხალხი დავაჯეროთ გერმანეთის სისუსტეში. პირიქით, მტრის დამარცხება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მას იცნობ და იცი მისი ძლიერი მხარე. გერმანეთის ბლოკადა დიდი აქტია. ზარალიც მოკავშირეებს დიდი მოსდევთ; მაგრამ ჩვენ მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ ინგლისი არაფერს დაიშურებს წყალქვეშა ნავების ასალაგმავათ. როგორც გერმანეთი, ინგლისიც ძლიერი, შეუპოვარი მოპირდაპირეა; უნარი და ნიჭი ინგლისელთაც საკმაოთ შესწევსთ, რომ გაჭირვება და ხიფათი თავიდან აიცილონ.

აღსანიშნავია ბრძოლის ველზე ქ. სტანისლავოსთან მოპირდაპირის მძიმე არტილერიის ახმაურება. საზოგადოთ ცნობილია, მძიმე არტელერიას უზომოდ არ ამოქმედებს ხოლმე მოპირდაპირე. შეიძლება, სრულიათ მოულოდნელად გერმანელებმა იერიში დაიწყონ, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ ადგილის მახლობლად, სახელდობრ, იეზუპოლთან მათ რამდენჯერმე სცადეს ბისტრიცის გადმოლახვა ამ ერთი თვის წინეთ. სტანისლავოვ-იეზუპოლოს ხაზს ზურგს უმაგრებს ქ. გალიჩი და ამავე დროს ზურგით ემუქრება ტყიან კარპატებში ომქმედ რუსეთის ჯარს. შესაძლებელია აქ მოპირდაპრეს ფართო დემონსტრაციებიცა ჰქონდეს განზრახული. ამ დემონსტრაციით მოპირდაპირეს, ალბათ, სურს ერთგვარი გავლენა მოახდინოს რუსების სამხედრო შტაბზე და აიძულოს უკანასკნელი შეასუსტოს მოქმედება რუმინეთის ჩრდილოეთის საზღვრებზე.

X.

ომის დეპეშები

28 იანვარი.

შტაბლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ბროდის სამხრეთით 30 ვერსზე, მანაუვის მიდამოში თოფის ტყვიით მოჰკლეს სახელოვანი გენერალი კარდინალოვსკი.

ქ. სტანისლავოს შტერი 12 დიუმიან ზარბაზნებს უშენდა. დაინგრა სახლი და რამდენიმე მცხოვრები დაიჭრა.

რუმინიის ასპარეზზე სროლაა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

ინგლისი.

28 იანვარი.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე, სომის მიდამოებში ს

ი-სათზელის ბორცვთან ხელთ ვიგდეთ 78 ტყვე, მათ შორის 2 აფიცერი და ტყვიისმფრქვეველი. ღამე ავიღეთ ბოკურის გზაზე ბაისკურის ფერმა. ანკრის სამხრეთით, მირომონში გერმანელების სანგარი ავიღეთ გონეფრსა და ჩვენი თხრილების შუა. აქ დავატყვევეთ 80 კაცი, მათ შორის 2 აფიცერი. იანვარში სულ 125 ტყვენით წავიწიეთ წინ 3 ვერსის მანძილზე. ლაბასეს არხს სამხრეთ-დასავლეთით მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. იპრის მიდამოებში ცხარე სროლაა.

გუშინ მტრის 1 საფრანი გადანადგურეთ, 3 დავაზიანეთ და იძულებული ვყავით დაშვებულიყვნენ, 1 საფრანი დაგვაკლდა.

ლონდონი. თემთა პალატაში ბონარლოუმ განაცხადა: „მთავრობა საკაპრო გემების რეკვიზიციას აფართოებს, ახალ გემების აგების თადარიგს შეუდგა და იმედი აქვს, წყალქვეშა გემებით მიყენებულ ზარალის მიუხედავად, ფლოტს ახალი გემებით შეავსებს. ინგლისის საზღვაო ძალა არასოდეს არა ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ეხლა. ინგლისის ფლოტი რომ არა ყოფილიყო, ჩვენ და მოკავშირენი ვერ გავიმარჯვებდით- რუსეთის ასპარეზზე, სერეტთან გერმანელების წინსვლა შეაჩერეს. რუმინეთის ჯარი არ შემუსრულა და კვლავ ბრძოლას განაგრძობს. რუმინეთის დაკარგვა მოკავშირეებისათვის საშინელი პოლიტიკური და ზნეობრივი უბედურებაა, თუმცა ამას გერმანელებისათვის სამხედრო გამარჯვება არ მიუნიჭებია, პირიქით მისი ძალა სხვა ასპარეზებზე დაასუსტა. ვიღამაც სთქვა, ამ ომმა გამოამჟღავნა ადამიანური და გერმანული ბუნებაო. გერმანეთის კანცლერმა მართლაც განაცხადა: თუ კი უსასტიკესი ზომები საუკეთესო საშუალება იქნება სრულისა და სწრაფ გამარჯვებისათვის, მათ საუკეთესო იარაღად მივიჩნევთო“. ნაპოლეონმაც ბევრჯელ გაიმარჯვა, მაგრამ ბოლოს მთელი ქვეყნიერების ზნეობრივი გრძნობა აუმხედრდა და გააძევეს. ეხლა ეს გრძნობა ჩვენი მოპირდაპირის წინააღმდეგ არის ამხედრებული და იმავე შედეგს მოიტანსო.

საფრანგეთი.

28 იანვარი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. დანეკურისა და ლიგონის მიდამოებში ფიცხელი ბრძოლაა ზარბაზნებით. არგონებში ხელთ ვიგდეთ 20 ტყვე.

პენ-სენ-ვენსენის მიდამოებში მტრის მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა; მოკლულია 4, დაჭრილია 5 მშვიდობიანი მცხოვრები.

პარიზი. რიბომ დეპუტატთა პალატაში კანონპროექტი შეიტანა, რომლითაც 1918 წელს გასაწვევნი ეხლა უნდა გაიყვანონ ჯარში.

პარიზი. დღის ოფ. ცნობა. მაასის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ვევრში, ფლირეს ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით. ვოგეზებში ერთ თხრილს უეცრად დავეცით, შიგ მყოფნი ზოგი დავხოცეთ, ზოგი დავატყვევეთ.

გუშინ საღამოს გერმანელმა მფრინავებმა დიუკერკის მიდამოებში ყუმბარები ჩამოჰყარეს; მოკლულია 4 მშვიდობიანი მცხოვრები. ფრუარის მიდამოებშიაც ყუმბარები ჩამოჰყარეს; 4 დაიჭრა.

პარიზი. მახლობელ აღმოსავლეთის ოფიც. ცნობა. მონასტირის და ვარდარის მიდამოებში მოქმედება გაცხოველდა. სერესის დასავლეთით 10 ვერსზე კალენდრთან და პროსენიკთან ბულგარელთა მზვერავი რაზმები მოვიგერიეთ. პრესპის ტბის სამხრეთით მრავალრიცხოვანი მზვერავთა რაზმი შეეჩნიეს. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ვესტერის მხარეს წაიწიეს და სიანი აიღეს.

ავსტრია

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: ფლოტის მთავარსარდალი გენერალ-ადმირალი ჰუსი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

იტალია.

რომი. იტალიის ფლოტის ადმირალი სამსახურიდან გადადგა. მის ადგილას დანიშნეს ვიცე-ადმირალი ტაონდერეველი, რომელიც ფლოტის მთავარსარდალიც იქნება და საზღვაო მთავარშტაბის უფროსადაც დარჩება.

მთავრობის განკარგულებანი.

პეტროგრადი. უმაღლესის ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრი კ. ტენინი ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსად დანიშნა.

ყუალკვეშ გრძოლა

(პეტ. დეპ. სააგ.)

ლონდონი ბუენოს აიროსიდან იტყობინებიან: არგენტინის მთავრობამ გერმანეთის დესპანს საპასუხო ნოტა ჩაბარა, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს გერმანეთის მიერ მიღებულ უკიდურეს ზომების გამო და აცხადებს, რომ მთავრობა თავის მოქმედებას საერთაშორისო უფლებებს შეუთანხმებსო.

ვაშინგტონი. ინგლისმა და საფრანგეთმა ვაშინგტონში მყოფ გერმანეთის დესპანს გრაფ ბერნსტორფს და სადესპანოს შემადგენლობას თავისუფალი გამგზავრების თავდებობა მისცეს.

ბერნი. გერმანეთის მთავრობის შუამდგომლობით შვეიცარიამ იკისრა ჩრდილო ამერიკასა და საფრანგეთში მყოფ გერმანეთის ქვეშევრდომთა სარჩლი.

ნიუ-იორკი. ვესტფალიიდან მოჭარბებული 6 დუიმიანი ზარბაზნები ნიუ იორკის სიმაგრეებში გადმოიტანეს.

ლონდონი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან: 25 იანვარს სენატმა 78 ხმით 5 წინააღმდეგ დაადასტურა გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულების შეწყვეტა.

სტოკჰოლმი. ვენიდან ოფიც. იტყობინებიან: შეერთებულ შტატების აქაურს დელეგანთან მოლაპარაკება სწარმოებს. ავსტრიასთან ამერიკას სადიპლომატო დამოკიდებულება არ შეუწყვეტია. ჯერ-ჯერობით გადაჭრილ გადაწყვეტილებამდე არ მისულან.

ვაშინგტონი. ლანსინგმა შეერთებულ შტატების კონგრესს ნახევარ მილიონ სტერლინგის გადადება მოსთხოვა თავდაცვისა და ევროპიდან ამერიკის მოქალაქეთა გადმოსაყვანად.

ლონდონი. ფილადელფიიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: 25 იანვარს 28 შტატის 3 მილიონმა წევრმა ამერიკელ გერმანელთა ეროვნულ კავშირისამ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ უილსონის ნაბიჯი მოიწონა გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულების შეწყვეტისა და თან აღუთქვა: თუ ომი ასტყდა ამერიკელი გერმანელნიც პოლკებს შეადგენენო.

ჰაგა. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: მთავრობა პროტესტს აცხადებს გერმანელთა მიერ წყალქვეშა ნავების გაუსაზღვრელ თარეშის გამო. იგი მიუდგომელ ნეიტრალობას კვლავაც განაგრძობს, მაგრამ იარაღით გაუმკლავდება თავისი სამფლობელოს და სუვერენულ უფლებათა შელახვას, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს.

გემების დალუკვა

ლონდონი. უკანასკნელ დღეებში დაღუპეს ინგლისის 8 გემი, შვეციისა—1, ნორვეგიისა—1 და ამერიკისა 1 „ჩალსტონი“.

ლონდონი. ინგლისის საფოსტო გემი „კალიფორნია“ გერმანელების წყალქვეშამ დაღუპა. მგზავრთა და მეზღვაურთა საერთო რიცხვიდან 205 გადარჩა, 28 დაიხრჩო, 13 მეზღვაური და 4 მგზავრი აფეთქებამ იმსხვერპლა. გადარჩენილთა სიტყვით, წყალქვეშას გემი არ გაუფრთხილებია.

ქურნალ-გაზეთებიდან

ესპანია

გარემოცვის გამო ესპანიას სრულებით მოსწყდა კანარის კუნძულები. ესპანიური გაზეთები მთავრობას ურჩევენ, საჩქაროდ გაიყვანონ ახალი რკინის გზები ესპანია-საფრანგეთის შემაერთებელი, რათა ხმელეთით აღებმიცემობა გააფართოვონ.

გერმანეთი

„ფორვარც“-ი გადმოგვცემს: სოციალ-დემოკრატები გარემოცვის საკითხში პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ.

გაზეთებში ცნობა იყო, ვითომც წყალქვეშა ბრძოლა პალატის დაუკითხავად გამოეცხადებინოს მთავრობას.

ამერიკის სამხედრო ძალა

ამერიკას სულ 30 პოლკი ქვეითა ჯარი ჰყავს. თითო პოლკში სამ-სამი ბატალიონია. ბატალიონში მშვიდობიან დროს 4 როტაა: როტაში 3 აფიცერია და 65 ჯარის კაცი.

ცხენოსანი ჯარი 15 პოლკისაგან შესდგება, თითო პოლკში სამი ესკადრონია. 2 ქვეითა და 2 ცხენოსანი პოლკი ზანგებისაგან არის შემდგარი-მხოლოდ აფიცრები ჰყავთ თეთრკანიანები.

ამას წინად შეუდგენიათ კიდევ 10 ქვეითა და 3 ცხენოსანთა პოლკი, რომლებიც იმყოფებიან ფილიპის კუნძულებზე, ჰვსა და პანამაში.

საველე არტილერია 6 პოლკისაგან შესდგება. თითო პოლკში 6 ბატარეაა. ამათგან 2 პოლკი მსუბუქი ბატარეაა, 2 სამთო, 1 საველე და ცხენოსანი. თითო ბატარეაში მშვიდობიანობის დროს 4 ზარბაზანია.

ამათ გარდა 170 როტა სანაპიროთა არტილერიაა და 3 საინჟენერო ბატალიონი ჰყავთ.

ამათ გარდა ფილიპის კუნძულებზე 52 როტა ჰყავთ ადგილობრივი მკვიდრებისაგან შემდგარი, „სკაუტების“ სახელწოდებით, 5915 კაცია.

შტატების ჯარში ითვლება სულ 80,125 ჯარის კაცი, 20,734 შტაბსა და სამმართველოშია, 5915 ადგილობრივი მკვიდრი—სულ 106,774 კაცია.

ეროვნული გვარდია 1915 წ. 30 მკათათვეს 8,705 აფიცრისა და 120,693 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა. ომიანობის დროს ამ ჯარის სამი მეოთხედი შეიძლება ბრძოლის ველზე გავიდეს.

სათადარიგოდ ირიცხებიან 18—45 წლის მოქალაქენი. ომის დროს შეერთებულ შტატებს შეუძლიანთ გამოიყვანონ 60 ათასი გაწრთვნილი ჯარი, და 80—90 ათასი ეროვნული გვარდიისა.

ხმელეთის ჯარის და ფლოტის მთავარსარდლად შტატების პრეზიდენტია.

შტატებს 1916 წლის გასულს ჰქონდა 17 ზე დრედნოუტი და დრედნოუტი, 22 ნახევარ დრედნოუტი, 3 ძველი ჯავშნოსანი, 10 ჯავშანგადაკრული კრეისერი, 24 კრეისერი, 4 მონიტორი, 62 კონტრ ნაღმოსანი, 13 ნაღმოსანი და 50 წყალქვეშა ნავი.

უკანასკნელი ცნობები

ქრისტიანიიდან იტყობინებიან: გერმანეთს გადაწყვეტილი აქვს თებერვლის ბოლო რიცხვებში დასავლეთ ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოსო. ამის გამო ახლავე ჯარის განაწილების თადარიგს შეუდგნენ.

—

პეტროგრადში ცნობა მისულა: შეერთებული შტატები იარაღს იმ შემთხვევაში მიჰმართავენ, თუ გერმანეთმა კვლავ დაუღუპა რომელიმე გემიო.

—

დღეს მოკავშირეების 12 გემი დაიღუპა.

—

გერმანეთის აგენტები ამერიკის პორტებში მხურვალედ მუშაობენ. აგროვებენ ცნობებს, თუ რომელი გემი რით არის დატვირთული და რომელ სახელმწიფოში უნდა გადიტანოს ესა თუ ის სანოვაგეო.

—

ავსტრიასა და მთაშავეთის ბატონიშვილთა შორის მოლაპარაკება სწარმოებს სამხრეთ სლავიანთა სამეფოს შესაქმნელად. ეს სამეფო დაექვემდებარება ავსტრიას, ხოლო მთაშავეთის გარშემო იქმნება შემოფარგლული.

ახალი ამბავი

† **ალ. ჭიჭინაძე.** იანვრის 27, საღამოს 6 საათზე, გულის სიდამბლით მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართულ გიმნაზიის დირეკტორი ალექსი ჭიჭინაძე. მიცვლებულის გვამი გიმნაზიის ეკლესიაში გადმოასვენეს 28-ს. 29-ს წირვისა და პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ სამშობლო სოფ. ჭოლევში (ქუთ. მაზ.) დასასაფლავებლად.

◆ **ბ-ნ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო თბ. ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ იქონია მსჯელობა და დაადგინა:

1. 27 იანვრისათვის დანიშნული სხდომა საპედაგოგიო საბჭოსი გადადებულ იქნას სხვა დროისთვის გარდაცვალებულისადმი პატივისცემის ნიშნად.

2. პანაშვიდი გადახდილ იქმნას მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანადასწრებით 28 იანვარა დილის 10 საათზე გიმნაზიის ეკლესიაში.

3. ეთხოვოს ჭირისუფლებს, რომ გარდაცვალებული გადმოსვენებულ იქმნეს გიმნაზიიის ეკლესიაში.

4. ნაცვლად გვირგვინისა შეიკრიბოს საპედაგოგიო საბჭოს წევრთა შორის ფული, რომლითაც განთავისუფლდეს სამი მოწაფე სწავლის ფულისაგან.

5. გარდაცვალებულის სახელის უკვდავ საყოფელად ცალკე იქონიოს საბჭომ მსჯელობა.

6. განმკარგულებელ კომისიის წევრებად საბჭომ აირჩია, დეკ. კ. ცინცაძე, გ. ი. ნათაძე, დ. დ. პარკაძე, ჰ. ქრ. აბულაძე და დ. ა. ჩიმაკაძე.

7. დაკრძალვა მოხდება სოფ. ჭოლევში. დელეგატებად იქმნებიან: დეკანოზი კალ. ცინცაძე, დავ. პარკაძე და დ. კასრაძე.

◆ **ალ. ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო თავად-აზნაურთა საკრებულომ დაადგინა სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის სახლობას, ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დაადვას კუბოს და მთელის შემადგენლობით დაესწრას განსვენებულის დაკრძალვას.

◆ **არჩევანი.** ხვალისათვის (30 იანვარი) ქალაქის საბჭოში დანიშნულია ქალაქის გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად გ. დ. ჟურულისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა.

◆ **მაძებარ პოლიციის უფროსმა** ბ-ნმა გაგიევმა დააპატიმრა ბაღის „ფლორა“-ს პატრონი რობერტ მაიერი, რომელიც ავტომობილების ნაქურდალ ნაწილებს ჰყიდულობდა თურმე.

◆ **ქართული თეატრი.** დღეს „ახალ კლუბის“ თეატრში ი. ზარდალიშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა რომაელთა ცხოვრებიდან „კაიუს გრაკხუს“. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე. კაიუსის როლს შეასრულებს თვით ი. ზარდალიშვილი.

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას დღემდი მისვლია 9,300 მანეთი. ეს ფული ინახება სალოფლო-სამეურნეო ბანკში.

◆ **ხურსათისა და სამეურნეო იარაღების შეძენა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მინდობილობით, მდივანი საზოგადოებისა ივ. ფირუმოვი ჩრდილო-კავკასიაში გაემგზავრა, საცა დაწვრილებით უნდა გაეცნოს სურსათისა და სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენის საქმეს.

◆ **ღვინის ვაჭრობის განახლება** მობილიზაციის დამთავრების გამო, 27 იანვრიდან ღვინის ვაჭრობა განახლდა თბილისში.

◆ **შავი სახადით** ავად გახდა სარაყამიშში უფროსი ექიმი ქალაქთა კავშირისა კარაპეტიანეცი.

◆ **ივ. გომართელის ახალი შრომა.** იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად ივ. გომართელის წიგნაკი: „რა არის ერობა“. წიგნაკსა სცემს საერობო ბიურო.

◆ **ნაფიც ვექილთა საბჭოს** წევრთა არჩევნები დანიშნულია 11 თებერვალს.

◆ **ქალაქის ლომბარდში** 1916 წლის განმავლობაში დატრიალებულა 21.103.376 მან. 48 კაპ., ძვირფასი ნივთები ჰქონია დაგირავებული 1 266.311 მან., სხვა ნივთები 178.792 მან., მოგირავნეთ გამოუსყიდნიათ ლომბარდიდან ძვირფასი ნივთები 1.112 468 მან., სხვა ნივთები 122.658 მან., გაყიდულა საჯარო ვაჭრობით ძვირფასი ნივთები 51.553 მან., სხვა ნივთები 4.805 მან., ლომბარდის გასავალი უდრის წლის განმავლობაში 29.826 მან. 89 კაპ., წმინდა მოგება დარჩენილა 36.153 მან. 55 კაპ.

◆ **სახელმწიფო სესხი.** 20—26 იანვრამდე სახელმწიფო ბანკში სახელმწიფო სესხზე ხელი მოაწერა 295 კაცმა 916.600 მან., სულ თავიდანვე ხელი აქვს მოწერილი 2,511 კაცს 11,832,950 მანეთზე. ამავე დროს განმავლობაში 4 შემნახველ-გამსესხებელ კასაში ხელი მოაწერა 1,545 კაცმა 1,846,450 მანეთზე.

◆ **ბაზარი.** 27 იანვარს თბილისის ბაზარში ფასობდა: გირვანქა დათვის ხორცი 60 კაპ., ღორის ხორცი 70 კ., ქონი 1 მან. 40 კ., დაკლული მთელი გოჭი 15—20 მან., კურდღელი 3 მან. 50 კაპ., ინდოური 8—15 მან., იხვი 2 მ. 50 კაპ., ქათამი 3 მან.—3 მან. 50 კ., წიწილა 1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ., გადამდნარი ერბო გირვანქა 2 მ. 40 კაპ., კარაქი 2 მ. 50 კ.—2 მ. 80 კ., არაჟანო 1 მ., ხაჭო 40 კ.

ქუთაისი.

მეფის ნაცვალმა აღკრძალა ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდი სხვაგან გაიტანონ.

† ალექსი გესარიონის ძე ჭიჭინაძე

(ნეკროლოგი)

27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თავისს ბინაზე უეცრად გარდაიცვალა თბილისის ქართულ გიმნაზიის დირეკტორი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. განსვენებულს, როგორც პედაგოგს, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ახალთაობის აღზრდაში. ა. ჭიჭინაძის ნაშეგირდალთაგან ბევრია, რომელნიც საზოგადო ასპარეზზე მუშაობენ. ალექსი ჭიჭინაძე ეკუთვნის მესამოცდაათე წლების თაობას, რომელიც აღზრდილი იყო მესამოცე წლების მოღვაწეთა იდეალებზე. ალექსი, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შევიდა ოდესის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. კურსის დასრულების შემდეგ, მან საპედაგოგიო ასპარეზი აირჩია თავის სამოღვაწეოდ. საქართველოში დაბრუნებისას, იგი მიწვეულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ლათინურ ენის მასწავლებლად. იმ დროს ქუთაისში დაარსდა თავად-აზნაურთა სკოლა და ალექსი ამ სკოლის ინსპექტორად მიიწვიეს. დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა განსვენებულმა სწავლა-აღზრდის საქმეში და რამდენიმე წლის შემდეგ თბილისის თავად-აზნაურთა სკოლის უფროსად იქმნა მიწვეული. ამ სკოლის გიმნაზიად გადაკეთებაში განსვენებულს დიდი წილი უდევს. სხვა და სხვა გარემოებათა გამო, ნიჭიერი პედაგოგი იძულებული გახდა ქართული გიმნაზია დაეტოვებინა და სახელმწიფო სამსახურში გადასულიყო. პირველად ის დანიშნეს სახალხო სკოლების ინსპექტორად და ჩქარა სახალხო სკოლების დირექტორობა მისცეს. შემდეგ დაინიშნა ხონის საოსტატო დირექტორად და იმავე დროს განაგებდა ხონში დაარსებულ სავაჟო პროგიმნაზიასაც. ბოლოს ისევ თბილისის ქართულ გიმნაზიაში საქმეთა მსვლელობამ არასასურველი ხასიათი მიიღო და საქმის გამოსაკეთებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად გიმნაზიის დირექტორად მოწვეულ იქმნა ისევ ალექსი ჭიჭინაძე. დღემდისინ ამ გიმნაზიას ხელმძღვანელობდა და ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო მუშაობა, უეცარ სიკვდილს რომ არ მოესპო მისთვის სიცოცხლე.

განსვენებული თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა მწერლობაში, განსაკუთრებით საპედაგოგიოში. თანამშრომლობდა გაზეთებ „დროებაში“ და „შრომაში“ (ქუთათურ)

ცალკე გამოცემულია განსვენებულის მიერ: „თვალსაჩინო სწავლა“, „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა“, „მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი სამშობლოს აღწერისა სანიმუშო პროგრამით“, „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა“, „რიერაჟზე სათქმელი“ და სხ.

საჯაროდ იყავ ხსენება შენი, კეთილო და უანგარო მუშაკო.

ლ. მ.

ჩვენის დროის სახელმწიფო და ერი

ჩვენს წინა წერილში *) სახელმწიფო და კლასი დავახასიათეთ; ვამბობდით, რომ კლასს სულ სხვა ინტერესი აქვს და სახელმწიფოს კიდენ სხვა. სახელმწიფოს პირდაპირი დანიშნულებაა მოქალაქეთა (განურჩევლად კლასისა) უფლების და ქონების დაცვა ყოველ კერძოებისაგან, შინიდან იქნებოდა იგი მავნებელი თუ გარედან. მისივე მიზანია სახელმწიფოს, როგოც ერთ მთლიანის რისამე, მეურნეობის გასაძლიერებლად მოღვაწეობა. მეურნეობა მან უნდა როციონალად მოაწყოს. კლასს კი იმდენად აინტერესებს სახელმწიფო, რამდენადაც სახელმწიფოს ძალა აუცილებელია მის მისწრაფებათა განსახორციელებლად. კლასი მუდამ იმის ცდაშია, რომ სახელმწოფო ხელში ჩაიგდოს და თვის იარაღად გადააქციოს. კლასის გამარჯვება სახელმწიფოს ანორმალ მდგომარეობაში აგდებს. მისი მეტის-მეტი სიძლიერე სახელმწიფოში, დანარჩენ კლასებთან შედარებით, საზოგადოებრივ პროპორციას არღვევს ისევე, როგორც მეტის-მეტად განვითარებული მუსკულატურა ადამიანის სხეულის ნაწილისა სხვა მოდუნებულ ნაწილებთან პროპორციას დაარღვევდა. რაკი გავითვალისწინეთ, ზემოხსენებულ მცნებათა შორის განსხვავება, ეხლა განვიხილოთ, რა ურთიერთობაა სახელმწიფოსა და ერს შორის.

სახელმწიფო არის ტერიტორიული კავშირი, უფლობით (власть) და ორგანიზაციით დამოუკიდებელი. საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, იგი თვით უფალი ტერიტორიალური კორპორაციაა. მისი მცნება სამ ელემენტისაგან შესდგება: სახელმწიფო უფლობა, ტერიტორია და ხალხი. მაგრამ ხალხი შეიძლება ან ერთის ერის, ან მრავალ ერისაგან შესდგებოდეს. თანამედროვე სახელმწიფოთა უმეტესობა მრავალეროვანია. ერთ ეროვანი სახელმწიფო უფრო ნაკლებია შემადგენლობის მხრივ. მიუხედავად სახელმწიფოთა სხვა და სხვაობისა, ყოველი მათგანი აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც თავისის სარგებლიანობით მიმართულია ერთ ერისადმი, ან ერთი ერის რომელისამე კლასისადმი. ხსენებული ერთი ერი არის გაბატონებული სახელმწიფოში და სახელმწიფო მის სახელს ატარებს. მრავალ ეროვან სახელმწიფოს დანარჩენი ერები გაბატონებულ ერთან ერთად ხალხს შეადგენენ. ერთა შორის, გაბატონებულნი არიან იგინი ჯ დამოუკიდებელნი, თუ დამორჩილებულნი, არსებითი განსხვავება არსებობს. განსხვავებაა არა იმაში, რომ ერთი გაბატონებულია და მეორე არა, ანდა მესამე დამოუკიდებელი. ეს ნიშნები მათი გარეგანი ფორმებია. განსხვავებაზე რომ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მათს შინაარსს, როგორც ერთგვარს მასალას, ერის დამოუკიდებლობის განსახორციელებლად საჭიროს. დღევანდელს საერთაშორისო ფერხულში დამოუკიდებლად, სუვერენად ყოფნა ერთგვარ საზოგადოებრივ წყობილებაში გამოიხატება. ეს გახლავთ სახელმწიფო მექანიზმი.

თუ ამ ზემორე ხსენებულ განმარტებას სახელმწიფოს შესახებ მოვიგონებთ, ნათლად წარმოგვიდგება თვალწინ, რომ სახელმწიფოს შექმნა შეუ-

*) იხ. გაზ. „საქართველო“ № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიან იმ ერს, რომელსაც ტერიტორია აქვს და ამასთანავე შესწევს კულტურული უნარი ორგანიზაციის შექმნისა, ე. ი. შინაარსი „ერი“-ს მცნებისა თანაბარი უნდა იყვეს „სახელმწიფო“-ს შინაარსისა. მესამე ელემენტი „დამოუკიდებელი უფლობა“ მხოლოდ გამოხატულებაა საზოგადოების პოტენციისა.

ერის პოტენცია მის ტერიტორიასა და კულტურაშია დამალული.

ტერიტორიას ის მნიშვნელობა აქვს ერისთვის, რომ იგი ერს აჯგუფებს არა მარტო ფიზიკურად, არამედ ეკონომიურ ინტერესის მხრივაც. გარდა ამისა, საერთო ტერიტორია ერს ფსიხოლოგიასაც უნახავს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დედამიწის ზურგზედ დაფანტული ერი, რომელსაც ტერიტორია არა აქვს, საერთო ფსიხოლოგიასაც მოკლებულია. ერის გაუფლებიანებისთვის მის კულტურას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. უკულტურო ერი ჩვენის დროის შესაფერის ორგანიზაციას ვერ შექმნის. არამც თუ უკულტურო ერი, არამედ თვისს წარსულით დიდად კულტუროსანი, მაგრამ ამ ჟამად კულტურულად დაცემული ერიც, ვერ შეჰქმნის დამოუკიდებელ უფლობის განმამტკიცებელ ორგანიზაციას. მაგალითად, სპარსეთი ავიღოთ. რა იყო ამ ათის წლის წინედ ეს სახელმწიფო? განა შესაძლებელი იყო, რომ მას სხვა სახელმწიფოთათვის თავის საქმეებში ჩარევის საბაბი არ მიეცა! სპარსეთში სულ ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ვინმე ამერიკელი, ან სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი დაეპირათ როგორც ბოროტ-მომქმედი, და თუ ევროპის კანონები ერთი თვის ციხეს მიუსაჯავდნენ, სპარსელებს მისთვის ფეხებზედ ვირის ნალები დაეკრათ. ამიტომაც არის, რომ ამ ჟამადაც სპარსეთის სასამართლო უცხო ქვეშევრდომის საქმეს მის სახელმწიფოს კონსულის დაუსწრებლად ვერ გაარჩევს.

ჩვენ ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ნათელ ყოთ შემდეგი: თუ დიდიხნისავე არსებული სახელმწიფო იმდენად უკულტურო, რომ მას სხვა სახელმწიფონი თავიანთს ქვეშევრდომებს ვერ ანდობენ და იძულებულნი არიან მისი სუვერენობა ფორმალურად მაინც შეზღუდონ, რასაც თან ახლავს ფაქტიური მოსპობა მისის სუვერენობისა, აქედან ცხადზედ უცხადესია, რომ უუფლებო, უკულტურო ერს საერთაშორისო კონცერტი ნდობით ვერ აღჭურავს და თუნდაც აღჭურვოს, ამისთანა ერის მიერ დაარსებული სახელმწიფო თავს ვერ გაიტანს. მას არა აქვს ძალა, იგი მხოლოდ ხუხულაა.

ამ რიგად, შესაძლებელ სახელმწიფოებრივობის თვალსაზრით სამის ტიპის ერი გვხვდება: 1) ერი, რომელსაც შესწევს კულტურული უნარი ორგანიზაციის შექმნისა და აქვს საკუთარი ტერიტორია (ე. ი. ერთ ტერიტორიაზედ შეადგენს უმრავლესობას); 2) ერი უტერიტერიო და კულტურული 3) ერი უკულტურო და ტერიტორიის პატრონი. პირველ ტიპის ერი, როგორც შინაარსით, ისე თვისის მისწრაფებით ძალიან წააგავს სახელმწიფოს. მასა და სახელმწიფოს შორის მხოლოდ ის გარჩევაა, რომ საერთაშორისო თვალსაზრისით ხსენებული ერი მოკლებულია მომქმედ შემძლეობას და უფლებაშემძლეობას. სამოქალაქო ცხოვრებაში ყოველი ადამიანი უფლებაშემძლეობით არის აღჭურვილი და ამ კულტურულ საფეხურს საერთაშორისო უფლებამ ვერ მიაღწია. საერთაშორისო უფლებას სული ჯერ ისევ ველური აქვს. თუმცა, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რო საერთაშორისო უფლება პრინციპიალურად ყოველ ერის უფლებაშემძლეობას აღიარებს. არა ერთი მაგალითია საერთაშორისო უფლების ისტორიაში, როდესაც დამორჩილებულ ერის წარმომადგენლობა უკისრნია რომელისამე სახელმწიფოს წარმომადგენელს საერთაშორისო კონგრესებზე. უფლებაშემძლეობას მოკლებული ერი მონა ერია და მონობას არც ერთი ერი არ იკისრებს, თუ კი იგი ცოტათი მაინც კულტურულია.

მეორისა და მესამე ტიპის ერებს ნაკლები ძალა შესწევთ სახელმწიფოს შექმნისა, თუმცა შესაძლებელია უტერიტერიო ერმა ნაკლი შეისრულოს და უკულტურო ერმა კულტურა შეითვისოს.

ვთქვათ, მრავალეროვან სახელმწიფოში, რომელშიაც გაბატონებულია ერთი ერი და თავის პოლიტიკას აწარმოებს, ჰყავს ქვეშევრდომი სხვა ერები ტიპის მიხედვით ყველა ნაირი, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ჩვენ დავინახავთ ანალოგიურ მოვლენას, სახელდობრ, თუ სახელმწიფოში შესაძლებელი ყოფილა კლასის გაბატონება, აგრეთვე შესაძლებელი ყოფილა ერთ-ერთ ერის გაბატონებაც. ანალოგია მხოლოდ გარეგანია და ერისა და კლასის გაბატონების შორის დიდი გარჩევაა. ერის გაბატონება უფრო მწვავეა. მისი გაბატონება უფრო საგრძნობელია სხვა ქვეშევრდომ ერისთვის, ვიდრე კლასის გაბატონება დანარჩენ კლასებისთვის. იქნებ მრავალ ეროვან სახელმწიფო თვისის ეროვნულ პოლიტიკის წარმოებაში იმავე დანაშაულს სჩადის, როგორსაც კლასის პოლიტიკის წარმოებაში ჩიდენდა. მაგრამ, როცა სახელმწიფოსა და კლასთანა გვქონდა საქმე, ჩვენ დავინახეთ, რომ საღ სახელმწიფოს მოღვაწეობას თითქმის ყველა კლასების გულის მოგება შესძლებია; პოლიტიკის ხელშეწყობილ წარმოებით სახელმწიფო აღწევს სრულს განვითარებას. მისი მიზანია ჰყავდეს მდიდარი ბურჟუაზია, კულტურულ პირობებში მყოფი მუშა ხალხი და სხვა. დამორჩილებულ ერებს სახელმწიფო სულ სხვა თვალით უყურებს გაბატონებულ ერის მიზანია დამორჩილებული ერი ქონებისა თუ კულტურის მხრივ გამოიყენოს. დამპყრობელ ერის პირდაპირი აზრია დაპყრობილ ერის ექსპლოატაცია, დამპყრობელის მოტივი ობიექტის ვნებას რომ არ მოითხოვდეს და პირ იქით დამპყრობელს უნდოდეს ობიექტის მხოლოდ „გაკულტურესნება“, ულოდიკობა იქნებოდა და ძალათ მაცხონეობა. გაბატონებულ ერის პოლიტიკა მრავალ ეროვან სახელმწიფოში, როგორცა სჩანს, სახელმწიფოს პირდაპირ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს სახელმწიფოსას. გაბატონებულ ერის სახელმწიფოს არ შეუძლიან დაკმაყოფილოს დანარჩენი ქვეშევრდომი ერები, არ შეუძლიან მათი ინტერესები დაიცვას, რადგან ხშირად ეს ინტერესები მიმართულია გაბატონებულ ერის ინტერესის წინააღმდეგ. პირიქით, გაბატონებული ერი ისეთ კანონებს გამოსცემს, ისეთ პირობებს შექმნის, რომელნიც მხოლოდ მისთვისაა სასარგებლო და დანარჩენთათვის-კი საზარალო. ზოგჯერ ხდება ისიც, რომ სახელმწიფოს კანონით დამორჩილებული ერიც სარგებლობს ისევე, როგორც გაბატონებული ერი, მაგრამ ასეთი შემთხვევა დამორჩილებულ ერისათვის იურიდიული რეფლექსია არის და არა მიზან-შეწონილი მოქმედება სახელმწიფოს მხრივ, ხსენებულ ერის სასარგებლოდ. სათანადო კულტურისა და ტერიტორიის პატრონი ერი უფრო დიდს წინააღმდეგობას უწევს გაბატონებულ ერს (სახელმწიფოს), ვიდრე უკულტურო. კულტუროსან უუფლებო ერს ჰყავს თვისი კლასები. რამდენადაც ძლიერნი არიან ხსენებულნი კლასნი, იმდენად ძლიერია მათი მეურნეობა; რამდენადაც ძლიერია მეურნეობა, იმდენად სახიფათოა სხვის ანაბარად ყოფნა მისის იღბლისა. განა დამორჩილებულ ერის ძლიერი ბურჟუაზია მოინდომებს იღბლის გაბატონებულის ანაბარა მიაგდოს თავისი ქონება?

დამორჩილებულ ერის ბურჟუაზია იმპერიალისტიც კი არის, არა თუ მოტრფიალე თვისის ერის თავისუფლებისა, იმ თავისუფლებისა, რომელიც ნახევრად ან სულ მთლად ხელში ჩაუვარდება. კულტუროსან დამორჩილებულ ერისთვის გაბატონებულ ერის პოლიტიკა ხშირად და თითქმის ყოველთვის დამღუპველია. ერი დაღუპვას ეწინააღმდეგება და ჩაღდება დიდი ბრძოლა, ეს ბრძოლა ზოგჯერ გაბატონებული ერის კატასტროფითაც თავდება ხოლმე. ზოგი თავიდან კატასტროფის ასაცდენად სახელმწიფოშივე ჰქმნის ეროვნულ საკითხს, თითქო სახელმწიფოს შეეძლოს ყველა ერის დაკმაყოფილება თუ სახელმწიფომ ყოველი ერი დააკმაყოფილა და ეს დაკმაყოფილება მის სურვილზედ არ არის დამოკიდებული, არამედ იძულებული იქმნა იგი ამისთვის, მაშინ ხომ იგი სახელმწიფო აღარ იქნება, არამედ გადაიქცევა სახელმწიფოთა კავშირად.

დამორჩილებული ერი სახელმწიფოს ვერ მოსთხოვს, ჩემთვის განსაკუთრებულად იზრუნეო. სახელმწიფოს პირდაპირი დანიშნულებაა სამსახური ერისა და არა ერებისა. სახელმწიფო ერის სამსახურისთვისაა მოწოდებული. მეოლოდ სახელმწიფო იცავს ერს. დამორჩილებული ერების იდეალიც—საკუთარი სახელმწიფოა. ჩვენა ვსთქვათ, რომ, თუ სახელმწიფო ვალდებული იქნება ყველა თვის ქვეშევრდომებს გაუწიოს მფარველობა, იგი სახელმწიფოთა კავშირად გადიქცევაო. სახელმწიფოთა კავშირი კი გულისხმობს ყოველ ეროვნულ სახელმწიფოს სუვერენობას, ხსენებულ შემთხვევაში ეროვნულისას არა მარტო პოლიტიკით, არამედ შემადგენლობითაც. ერის ხსნა მარტოოდენ საკუთარ სახელმწიფოს შეუძლია; სახელმწიფოს საღი ფორმა წმინდა ეროვნულ შინაარსმა უნდა მოგვცეს. მრავალ-ეროვან სახელმწიფოთ დამორჩილებულ ერებთან ბრძოლაში დიდი ენერგია ეხარჯებათ და საერთაშორისო ფერხულში სათანადოდ ვეღარ ებმიან. სხვისის ქონების დაჩემება დამპყრობელ ერს მხოლოდ წუთიერ წარმატებას მიანიჭებს ხოლმე ამ დ ჩემებას და ბოლო უარყოფითი აქვს ხოლმე. არსებობა ეროვნულ სახელმწიფოსი შემადგენლობის მხრივაც დროის საკითხია. თანამედროვე სახელმწიფოებრივი მეცნიერება მისკენ იხრება. მას ისეთი დიდი მოძრაობა ახლავს თან, რომ ჩვენის დროის ლოზუნგად გადაიქცა, ეს ხელზედ დაიხვიეს მეომარ სახელმწიფოებმა და აშკარად აღიარებენ დაჩაგრულ ერთა უფლებებს.

ა. —ე.

ბიბლიოგრაფია

ა. შანიძე. Два чано мингрельскихъ суффикса въ груз и арм. языкахъ.

ეს პატარა საყურადღებო წერილი გადმობეჭდილია რუს. საარქ. საზ. „ზაპისკებიდამ“ (ტ. XXIII).

ჯერ გამოკვლეულა **არ**-ის შესახებ. ჩამომავლობის მაჩვენებლად ქართულში იხმარებაო—**ელი** (ადამიანთათვის),—**ური**=**ული** (პირუტყვთა და ნივთთათვის). ჩამოთვლილია მაგალითები: კახელი, კახური, იმერული და სხ.

ასევეაო მეგრულ ჭანურში. მაგრამ ამას გარდა მეგრულში არისო ბოლოსართი **არი**=**ალი**, რომელიც უდრისო იმავე ქართულს—**ელი**-ს. მაგალითები: გუფუ—არი (=ქართ. გუფუელი), ჭყონდარი (=ჭყონდელი) და სხვ.

იგივე ბოლოსართი გვხვდებაო ქართულის მიერ **ნასესხებ** სახელებში: ოდიშარი, სომხითარი, ოპიზარი, ოლთისარი, მტბევარი.

აქ ჩვენ ვერ ვეთანხმებით მკვლევარს. დამოლოება „არი“ ქართულში **ნასესხები** კი არა, ბინეულია, წარმომდგარა არსებით ზმნიდამ და იხმარება ბოლოსართად მრავალნაირ მნიშვნელობით. შეად.:

ჩახრუხ. 76: გამათენალი, ნასვენალი...
77: შემასმენალი, შემარცხვენალი.
იგივე დღეს: შემასმენელი, შემარცხვენელი...
შავთ. 22: სასმენარი=სასმენელი.
საქნარი=საქნელი.
ჩახრუხ. 34: მღებარე = მღებარი = მღებელი.
112: მოსანთებარე = მოსანთებარი = მოსანთებელი.
აგრეთვე: სოფლიერი=მსოფლარი=სოფლელი,
საწადიერი=საწადელი,
მზრახვალი=მზრახველი,
მიწიერი, ციერი, ადამიერი (შავთ. 104).

ავქსონი იუწყება, ქართულში ური=ული იხმარებაო მხოლოდ ნივთ-ნაწარმოებთა და არა-სიტყვიერთა ჩამომავლობის აღსანიშნავად, მაგრამ ეს ყოველთვის ეგრე არ არის. ჩვენ ვამბობთ **გურული** კაცი, **გურული** ლობიო, ქუთათური მეგაზეთე და სხ. ამავე დროს გურიელი-ც აღნიშნავს იქაურს მთავარს.

ყველა ეს ასეა იმიტომ, რომ ერთ ბუნების და ერთ ჩამომავლობის ნაწარმოებნი არიან დაბოლოებანი: არი—ალი—ელი—ული—ური.

სომხითარი—სომხითური—სომხითელი; გოგარი—გოგარნი; ოლთისარი—ოლთასელი და სხ.

ვიმეორებთ,—არი=ალი მეგრულიდამ **ნასესხები** კი არა, ქართულში ბინეულია, ხოლო მეგრულში მის ბარია **ორე-რე ე**, და თუ იქ ესრე არ არის დღეს, სჩანს, საზოგადო ქართულ ძირიდამ მოჰფენია მთელს საქართველოს ჩამომავლობის მაჩვენებელი—არი-ალი-ური-ული-ელი-ერი...

საყურადღებოა, რომ აქ ავქსონს, როგორც ჩვენ შარშან აღვნიშნეთ (იხ. ჟურნ. „განათლებაში“),—**არ** მიაჩნია ხხოლოობით რიცხვის აღმნიშვნელ დაბოლოებად და არა სვანურ მრავლ. რიცხვის მომასწავებელ **არ**-ად, როგორც ამას აცხადებდა ცნობილი პროფესორი (შენიშნ. 4, გვ. 5).

იქვე სახელის „ბტბევარის“ განმარტებაში ავქსონს მოჰყავს ბერძნული „ევ“ და ქორენელის „ივ“ (ჭანივ, ლაზივ), მაგრამ აქ პატივცემული მკვლევარი სრულიად არ იხსენიებს თუშურს „ივ“. გარნა იმათებურად **კახა** ნიშნავს კახელს, ხოლო **კახივ** ქართულს. ჩვენ გვგონია, დაბოლოებად „ივ“ კი არ უნდა იყოს, არამედ მარტო „ვ“, რომელიც, ალბად, არის იგეთივე ნაშთი, ვით ჩამომავლობის აღმნ შვნელ სახელებში: ელიავა, კაჭარავა, ფხოვ=თუშ. ფხეფ (დასაწყ. ფხო, მაგ. შუაფხო), ფშავ=თუშ. ფშოვ=ფშაველი...

„სომხითარი“ ავქსონს „არმიან“-ად გადაუთარგმნია (გვ. 3): „სომხითარი житель Сомхита (армянамъ)“.

სომხითი დასახლებული იყო ქართველებით და იქ მათთვის დაწესებული იყო რამდენიმე საეპისკოპოსო, მაგ. მანგლისისა (IV ს.), ბოლნისისა და სხ. თუ სომხითარი „არმიანინია“, ნუთუ მანგლელ-ბოლნელები და სხ. აგრეთვე იყვნენ სომხების ეპისკოპოსები?! ჩვენ ამ თარგმანს ვერ ვიგუებთ, და ნუ გაგვიწყრება ახალგაზდა მკვლევარი.

მეორე სუფიქსია სომხური—უმ, რომელიც ავქსონს მიაჩნია ტოლად ქართულ-მეგრულ-სვანურ-ჭანურისა ამ=ომ=უმ=ემ: ვწერავ=ვწერამ და სხ. სომხური: ასუმ-ემ ვლაპარაკობ, სირუმ-ემ მიყვარს, გნუმ-ემ წარვალ, უზუმ-ემ მინდა და სხ.

ვუსურვებთ ახალგაზდა ნიჭიერ ავქსონს წარმატებას. რამდენადაც დამოუკიდებლობას გამოიჩენს, იმდენად პატივდებაში იქნება არა თუ საზოგადოების მიერ, არამედ იმ მეცნიერისაც, რომელსაც, გვწამს, უწინარეს ყოვლისა ეპრიანება ტლუ ჭეშმარიტება

მ. ჯანაშვილი.

23 იან. 1917.

შეკითხვა

ბ-ნ რომანოზ ფანცხავას, „ცხოვრების“ რედაქტორს.

ჩემ პატარა წერილს, ჟურნ. „ცხოვრების“ ამა წლის მეორე ნომერში რომ დაიბეჭდა, თქვენ ორი შენიშვნა გაუკეთეთ. პირველი შენიშვნა ასეთია: „ბ-ნ ლუკა ბახტაძის წერილში გაბრიელ ეპისკოპოსის ლანძღვა-გინება არ არის, ეს ცილის წამებაა“. იქვე შენიშვნასთან კი აცხადებთ, ლანძღვა-გინებას (მით უმეტეს, უნდა ვიგულისხმოთ, ცილის წამებას) პაწია კაცუნაზეც არ დავსტამბავთო. ეს თუ ასეა, და თუ ჩემი პატარა წერილი ცილის წამებას შეიცავდა, რათ დაბეჭდეთ თქენს გაზეთში? მაგრამ თქვენა სცდებით. ბ-ნ ლუკა ბახტაძის, მართლაც ცილისწამებით აღსავსე წერილს, ნეტარხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ადგილი დაუთმეთ თქვენს გაზეთში, შეცდომა ჩაიდინეთ და ეხლა ცდილობთ ლ. ბახტაძის წერილი დაიცვათ და მისი ნათქვამი ჭეშმარიტებად გამოაცხადოთ, და მის საწინააღმდეგო წერილებს კი „ცილის წამებად“ ნათლავთ. ამგვარის თქვენის საქციელით, თქვენ, თქვენდა უნებურად, სრული თანამოაზრე ხდებით გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ბ. ლ. ბახტაძისა.

აი მეორე თქვენი შენიშვნაც: „აქ პატივცემული ავტორი თავის თავს ეწინააღმდეგება. ილია ხონელმა, გაბრიელ ეპისკოპოზი სამარეშიც არ იყო ჩაშვებული, მისი სახელი მიწასთან გაასწორაო. გაბრიელის სიცოცხლეშიაც სწერდა ილია ხონელი სტატიებს გაბრიელ ეპისკოპოსზე. ეს ყველამ იცის და თქვენ კი დაგვიწყებიათ“. ამ შემთხვევაში გულმავიწყობას იჩენთ. მე სრულიადაც არ ვეწინააღმდეგები ჩემ თავს. უნდა იცოდეთ, ბ. რომანოზ, რომ მიცვალებული, სამარეში ჩაშვებამდის, ცოცხლებში აღარ სწერია. ილია ხონელმა სწორედ გულის ჯავრის ამოსაყრელად გაბრიელის სიკვდილით ისარგებლა, თორემ როდის და რომელ გაზეთში იყო დაბეჭდილი გაბრიელის სიცოცხლეში ის ბრალდება, რომელიც ილია ხონელმა სულმნათ გაბრიელ ეპისკოპოსის თვალების დახუჭვის შემდეგ გაზეთ „კავკაზში“ მოათავსა და ან ეხლა ბ. ლ. ბახტაძე თქვენს ჟურნალში რომ ათავსებს? ბახტაძეებს ჩვენი მღვდელმთავრის სიცოცხლეში ეს არ ჩუდენიათ.

მ. ქუთათელი.

დაგა-სოფლები

ხევი. არა ერთხელ მომიწერია, რომ ხევი უექმობით და უწამლობით დიდს გასაჭირს განიცდის მეოქ. არ გვაკმარა ბ-ნმა საგუბერნიო ექიმმა, რომ ერთად-ერთი აფთიაქი მიგვიკეტა და ფერშალი აღარ დაგვინიშნა. ხევ-მთიულეთს და ჯაბურის ოსებს (ორი საბოქაულოა) ორი ყავილის ამცრელი გვყავნდა, ორნივე სოფელ ჩირიკიდან იყვნენ, გვარათ კობა-ძეები. წლიურად 60 მანეთი ეძლეოდათ ანუ თვეში 5 მანეთი. აცრილს ბავშვებზედ იღებდნენ ორ შაურსა. წარმოიდგინეთ, ამ სიძვირის დროს ხუთი მანეთი თვეში ერთ წყალ ჩუსტსაც ვერ ჩააცმევს მუშაკსა და ცოლ-შვილიანმა კაცმა როგორ დაირჩინოს თავ.? ნუ თუ ამაზედ მეტათ აბუჩათ აგდება ვინიმე შეიძლება? ადამიანებათაც-კი არა გვაქვლიან. დიდს ქალაქებში პირუტყვთ მფარველი საზოგადოებები არის და ჩვენი საერობო ფულები სად და ვის საქმეზედ იხარჯება, რომ ამცრელებსაც-კი შესაფერს ჯამაგირს არ აძლევენ! დღეს ეს ამცრელები ერთი სალდათად წაიყვანეს, მეორეც სალდათობით შეშინებული, თერგის ოლქში ჩაფრად არის წასული. აქამდე ხევში სახადი იყო და ყველა სოფლებიდან იმსხვერპლა ავადმყოფები. ეხლა სიონში ქვავილმა იჩინა თავი; ერთი იმსხვერპლა და ათიოდ ავად არის. იქნება სხვა სოფლებშიაც იყოს ეს შეუბრალებელი სენი, მაგრამ ჩვენთვის ვის შესტკივა გული?

რაც ომი დაიწყო, აქ ყაზბეგის საკომენდანტო უწყებაში მსახურობს სამხედრო ექიმი, გვარათ შვეიკოვი. ყოვლად პატიოსანი და ნამდვილი გულკეთილი ადამიანია. ეს კაცი ორს წელს უსასყიდლოთ დადიოდა ხევის სოფლებში და სნეულებს რეცეპტებს უწერავდა, მაგრამ სახელმწიფო წამალს კი არავის აძლევდა. ბევრმა ფული აძლია, მაგრამ ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ვისთვისმე ფული გამოერთმიოს. ზოგჯერ ფეხითაც 7—8 ვერსის მანძილი გაუვლია, სნეულისთვის დარიგება და რეცეპტები დაუწერია და ვლადიკავკაზადამ წამალი მოუტანიათ. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ამ პატიოსანს ექიმს და უსასყიდლოდ მშრომელს კომენდანტმა სნეულების დათვალიერებაც აუკრძალა,—კერძო პირთა ნახვა არ შეგიძლიაო.

კალმის წვერა.

—

ლანჩხუთი. (ოზურგ. მ.) გაზ. „საქართველოს“ სამ იანვრის ნომერში ბ-ნი მ. ბუჩიძე საყვედურით მიმართავს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას, ვითომც ამ უკანასკნელს თავის კრებაზე არ ამოეღოს ხმა ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. გასულ შემოდგომაზე საეპარქიო კრება სამღვდელოებისა არა ყოფილა. მხოლოდ 15 ქრისტეშობისთვეს მოხდა ქ. ოზურგეთში გურიის ეკლესიების კრებულთა არაჩვეულებრივი კრება. ეს კრება არაჩვეულებრივი იყო მარტო იმით კი არა, რომ მორიგ კრებას არ წარმოადგენდა, არამედ იმითაც, რომ მასზე გამოცხადდა მთელის გურიის თითქმის ყველა მღვდელი თავის მედავითნეებითურთ. ასეთი მრავალრიცხოვანი კრება სამღვდელოების 1905 წელს მერე არ გვინახავს. და აი, სწორედ ამ კრებამ ერთხმად დადგინა, [illegible] ჩვენი ეკლესია ავტოკეფალურ მართვა-გამგეობის საფუძველზე მოწყობილ იქმნეს. ეს დადგენილება გაეგზავნა სადაც ჯერ იყო. კრებამ მ მართა თხოვნ თ ერთ ცნობილ მწერალს მღვდელს შეადგინოს პოპულიარული წიგნაკი ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის მნიშვნელობის შესახებ. ამ წიგნაკის გამოცემა და ხალხში გავრცელება სამღვდელოებამ თვითონ იკისრა.

მღ. ე. ჩ—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

პასუხად კოწია ნ. ჩაჩავას

თქვენმა წერილმა, 25 იანვარს გაზეთ საქართველოში დასტამბულმა, დიდათ გამაოცა: თქვენ თვითონ გამგეობის წევრი ბრძანდებოდით და, მაშასადამე, ჩვენთან ერთად თქვენც განაგებდით მეუნაგირეთა ამხანაგობის საქმეს.

ამხანაგთა პირობა იყო, რომ არც ერთ ამხანაგს-მეუნაგირეს საკუთარი საქმე არ უნდა აეღო; მაგრამ თქვენ პირველმა დაარღვიეთ ეს პირობა და საკუთარი საქმე გაიჩინეთ და ამხანაგობას ფაქტიურად არავითარ დახმარებას არ უჩენდით. თქვენი საქციელის მიუხედავად, ამხანაგობამ არა თუ ბოლომდე მიიყვანა საქმე, არამედ ზედმეტიც აწარმოვა, ვინაიდგან ამხანაგობა შესდგა ორი ათას უნაგირის ჩასაბარებლად, და ხუთი ათასი კი ჩაბარა. რაც შეეხება ამხანაგობის წარმოების **ანგარიშს**, ამხანაგობის ბუღგალტრების კობაიძის და მაჭავარიანის მიერ შედგენილი და ამხანაგობის საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულს, თქვენ შეგხვდათ, თქვენის თანხის თანახმად, 737 მან. და 54 კაპ. ამ ჯამიდგან 330 მანეთი თქვენ გაქვთ მიღებული კასირის კახიძესაგან და 400 მან., ჩემს რუსეთში ყოფნის დროს, ჩემის მეუღლესაგან. გერგეზათ კიდევ 7 მან. და 54 კაპ. **მობრძანდით და მიიღეთ.**

როგორც ხედავთ, ბ-ნო კოწია, თქვენთან მე, როგორც წევრს იმ გამგეობისას, რომელშიაც თქვენც წევრად იყავით, არავითარი ანგარიში და სამედიატორო გასარჩევი არა მაქვს. მაგრამ, რომ დავაკმაყოფილო თქვენი ცნობის მოყვარეობა, მზათ ვარ გამოგყვეთ სამედიატორო სამართალში. ვასახელებ ჩემის მხრივ მედიატორებად: იოსებ სარქისოვს და ირაკლი ველიაშვილს. იმათვე გადაეცი თქვენდა მისაღები 7 მან. და 54 კაპ.

კოტე ფიცხელაური.

კახეთის რკინის გზის გ მგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 1-დან სახალხო საბარგო მატარებელი № 4 მიმოსვლა სადგურებ **თბილისსა** და **ბადიაურს** შორის ასე იქმნება გამოცვლილი: გავა **თბილისიდან** დილ. ს 7 საათსა და 30 წუთზე; **ნავთლულიდან** (ამიერ კავკ.) 8 საათზე; **ნავთლულიდან** (კახეთისა) 8 საათსა და 20 წუთზე; **ვაზიანიდან** 9 საათსა და 20 წუთზე; **იორიდან** 10 საათსა და 15 წუთზე; **საგარეჯოდან** 11 საათზე და **ბადიაურიდან** 11 საათსა და 55 წუთზე.

საათები აღნიშნულია პეტროგრადის დროითა, რომელიც თბილისის დროზე 58 წუთითაა ჩამორჩენილი.

(1—535—1)

ორშაურიან ფოსტის მარკად

მოთხოვნისათანავე **უფასოდ** გაეგზავნებათ აქაურ ავადმყოფთ ჟურნალი

„სიმართელის მოამბე“ (Вѣстникъ Здоровія.)

ჟურნალში გარკვევით, დაწვრილებით და მეცნიერულად უხსნიან სხვა და სხვა სენით შეპყრობილთ მნიშვნელობას, წამლობას და შედეგს სხვა და სხვა სენისას, როგორც მაგალითად:

სუსუნატისა, სიფილისისა, (სხვა და სხვა ფორმებში) **ჭლექისა, სისხლნაკლეგოგისა, საერთოდ სქესოგრივის უძლურეგისა**

და სხ ავადმყოფობისა.

ვისაც სურს დაბარება ან პირადად მიღება ამ ჟურნალისა, უნდა მიჰმართოს მხოლოდ: **თბილისში**, ლორის მელიქოვის ქ. № 16, განყოფ. 6, სახელმწიფო ბანკის ახლო პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას (Тифлисское отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи. Тифлисъ, Лорись-Меликовская ул. № 16, отд. 6. (Близъ Государственнаго банка).

(30—491—1)

თევზის მრეწველნი
ძმ. ბეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგაჭრო სახლ. „ლ. ვაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.